


გამოცემა ბაქოს ამხანაგობის „კალმისა“ № 1.



ბავშვის მოვლა

პედაგოგიური წერილები

ალ. ნათაძისა

დედავ! მორწყეთ და მოუარეთ თქვენს
ნაზ ყვავილს, რომ თქვენის უზრუნველო-
ბით უდროთ არ დაჰკნდეს იგი.

ჟან-ჟაკ რუსსო.

თბილისი

სტამბა გრ. ჩარკვიანისა, მიხეილის კრ.. სახ. № 40.

1906

Дозволено цензурою. Тифлясь, 22 марта 1906 г.

ს ა რ ჩ ე ე ი :

წინასიტყვაობა ექიმი ვ. ლ—ძისა.

პირველი წერილი: დედის ზედნიერება.—დედის წერილიდან.—პოეტებიც ამობენ დედის გრძობას.—მოუ-
მზადებლობა ჩვენი დედისა.--დედის გულის შემატკივარნი.—
ძეძუთა ბავშვის უყურადღებოდ დატოვება.—ფსიხოლოგი
პრეიერის დაკვირვებანი.—ბავშვის სულის განვითარება დაბა-
დებითვე იწყება.—გონებითი განვითარება „ადაფრიდან“ იწყ-
ება.--ქ-ნი მალბრანშის აზრი.—ექიმი ლორენის განმარტე-
ბანი.—დასკვნა.

მეორე წერილი: დედის წერილიდან.—დედამ თვი-
თონ უნდა აწავოს ბავშვს ძეძუ.—დედის რძე.—ზოგერთა
„დედები“ რატომ თვითონ არ აწოვებენ ძეძუს? ცხოველ-
ბიც კი არ დასტოვებენ თავიანთ შვილებს!—ძიძები.—რა შემ-
თხვევაში უნდა დედა დაუთმოს თავილი ბავშვი საკვებად
სხვას?—წოვების დროს რა უნდა სკამოს დედამ? რა პირო-
ბებში უნდა იცხაოროს დედამ? რას უნდა მოერიდოს დ. სხ.—
ექიმი ვ. აშმანის აზრი.—ნუსხა საქმელებისა და სასმელები-
სა, რომლებიც სასარგებლონი არიან მაწოვარი დედისთვის.—
დასკვნა.

წერილი მესამე: როგორ უნდა მისცეს დედამ ძე-
ძუ? რა დროს? ძეძუს წოვების დროს რას უნდა სიკაციოს
იქან ყურადღება? დაიბადება თუ არა ბავშვი, მანინვე არ
უნდა მისცეს დედამ ძეძუ.—ზიბალდის აზრი.--გიგინა ძე-
ძესი.—სახრდობა ბავშვისა წეს-რიგზე უნდა წარმოებდეს!—
ბავშვის კვივილ-კვილი. ბავშვის მოწყენა.—ძილი.—დაკვირ-
ება საკუთარ ბავშვზედ.—რამდენ ხანს აწავოს დედამ ძეძუ.

მ კ ო თ ხ ე წ ე რ ი ლ ი: ბავშვის უქეიფობა.—ბავშები
ქყვილ-კვილით გამოჩხატავენ თავიანთ გრძნობას!—ექ. ამ-
ნონის მ.გალითები.—ქციერილი ბავშვს თავის დღეში ავად არ
გაჰქდის!—გადამეტებული ალერსი და ლოლიაობა.—ბავშვის
გართობა.—პრეირის აზრი.—ბ-ნი კომპერის აზრი.—ბ-ნი ეუ-
კის შეხედულება ამ საგნების შესახებ.—ძილი და მოსვენება.—
წესი ძილისა.—გაღვიძება ბავშვისა.—ბ-ნი ეუკის აზრი.—რო-
გორ უნდა დავაწვინოთ ბავშვი?—ბავშვის დედასთან წოლა.—
რაში ჩავაწვინოთ ბავშვი? ჩენი აკვანი.—„ნანა“ და სხვა სი-
მღერები დაძინებისას.—მნიშვნელობა ამ სიმღერისა.

მ ე ხ უ თ ე წ ე რ ი ლ ი: ბავშვის კარგად ყოფნა.—სიცი-
ლი და მხიარულება ბავშვისა.—დედის შეცდომა.—საბანებე-
ლი.—მნიშვნელობა ბანაობისა.—წესები ბანაობის დროს.—
ბავშვის თავის დაბანა.—პროცესი ბანაობისა.—საჭიროა თუ
არა ბავშვი განზრახ შევაჩვიოთ სიცივეს?—მორიკა ფლეერის
წიგნიდან.—ერთი რუსი მანდრლოსანის ნაამბობი ამ საგნის
შესახებ.—კეთილ-გონიერება საშუალო გზას დაადგება.—გერ-
ბერტ სპენსერის აზრი.—სტატისტიკა რას გვეუბნება?—ჰარ-
მონიულად უნდა მივიღოთ თვით ბუნებას.

მ ე ე ქ ვ ს ე წ ე რ ი ლ ი: მოსაწონი განზრახვა.—წმინდ
ჰაერი და სეირნობა.—მხედველობა.—სეირნობის დროს ყვე-
ლა მისი გრძნობა ეარჯიშობს.—სასეირნო ადგილების ამო-
რჩევა.—გამდღობი.—თვითონ თქვენ უნდა მოაწზადოთ ბავ-
შვისთვის გამდელი.—დრო და ადგილი სეირნობისა.—ხელში
დაჭერა ბავშვისა.

მ ე შ ვ ი დ ე წ ე რ ი ლ ი: „კბილის ამოკრა“.—ყველა-
ფერს კბილის ამოკრას აბრალევენ!—ეუკის აზრი.—კბილის
ამოკრა ავამთყოფობა არ არის.—ორი ხანა კბილის ამოკრი-
სა.—ნიშნები პირველი ხანისა.—ნიშნები მეორე ხანისა.—
მოუსვენრობა ბავშვისა.—ხელის შეწყობა.—სუფთა ჰაერი,
სისუფთავე, ზომიერება საკმელ-სასძელში, თბილი საბანებე-

ლი.—„მზე-შინაოსი“ და ნანას სიმღერა.—მუსიკა.—გართობა.—სხვადასხვა აზრი ამ გართობაზედ.—ჩემი დაკვირვება..

მერვე წერილი: ძუძუს გაშვებინება.—დედის მწუხარება.—ძუძუს გამო „დადარდიანება“.—ბავშვი და ძუძუ.—აფრთხილე ძუძუს გაშვებინების დროს.—პირველი სიყვარული ბავშვისა.—პრეირის დაკვირვებანი.—პერეს დაკვირვებანი.—კომპერეს მაგალითები.—რიგი და წესი ძუძუს გაშვებისა.—რა ვაჭამოთ შემდეგ?

მეცხრე წერილი: ფეხის ადგმა.—თანდათანობა: აქ საჭირო.—ფრინველების მაგალითი.—ბავშვი აკვნიდგანვე ეზადება ამ აქტისთვის!—ბავშვის სხეულს დაბადებითვე უნდა მიეცეს თავისუფლება მოძრაობისა.—ლიტესია აზრი.—ჯდომა-ცოცვა ბავშვისა.—ზოდის იწყებს ბავშვი სიარულს?—კომპერის აზრი.—განსაცდელი ბავშვისა.—დაბრკოლებებს მიანიჭიეთ.—მარტონუ გაუშვებთ ანლად ფეხ-ადგმულს!—თამაშობა და გართობა.—ერთი ქართული დედის წერილის გამო.

მეთექვსმეტი წერილი: ბოდისი.—ენის ამოდგმა.—დედის სიხარული და აღტაცება.—ბავშვი დაბადებითვე ავარჯიშებს ენას.—შესანიშნავი ნაბიჯი.—როგორ სწავლობს ბავშვი ლაპარაკს? როდის სწავლობს?—მეცნიეოების დაკვირვებანი.—დაკვირვება ჩემს შვილზედ.—ლექსიკონი პაწაწინა ბავშვისა.—დასკვნა.



წყაროები: 1) სული ბავშვისა, თბზ. პრეერისა.

2) ქ-ნ მალბრანშისა და ექიმ ლორენის ნაწერებიდან.

3) პრაქტიკული პედაგოგია, თბზ. დოქტ. ფ. დიტესი.

4) ოქროს წიგნი: ფეხშივე დედაკაცის გიგიენა.—მოვალეობა დედისა.—ბავშვის მოვლა, თბზ. დოქტ. ფ. ამონისა.

5) დედის ცხოვრებიდან, ექიმი კინტესი.

6) საკმელი და სასმელი ახლად დაბადებულისა და მისი მოვლა პირველ ერთ წელიწადს, ექიმი ვ. ფ. ზიბოლდისა.

7) გონებითი და ზნეობითი განვითარება ბავშვისა, თხ. გ. კომპერესი.

8) დედა და შვილი, თხზ. უუკისა.

9) ფიზიკური და ზნეობითი აღზრდა ბავშვისა, თხზ. მორიკა ფლერისა.

10) აღზრდა, გერბერტ სპენსერისა და სხ.

• —————

წინასიძვეობა.



ეს მეორე წიგნია, სადაც ბ-ნ ალექსანდრე ნათაძეს მოთავსებული აქვს წერილები ქართველ დედასთან. ამ წერილებს მკითხველი საზოგადოებ. კარგად იცნობს, რადგანაც დრო გამოშვებით იგინი ისტამბულოდნენ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მაგრამ რადგანაც დღიურ გაზეთებში მოთავსებულ მასალის ხშირი გადათვალისწინება და ამ ცნობების ხელმძღვანელობა მოუხერხებელია, რასაკერძოდაც საჭირო იყო მათი ცალკე წიგნად გამოცემა.

ამ მეორე წიგნში ბევრი საყურადღებო და საგულისხმო კითხვაა მოთავსებული, რომელთა აღსნა და განმატება მეტად საჭიროა ყველასთვის და მეტადრე დედებისათვის ვისაც კი ჰსურს ბავშვის აღზრდა მეცნიერების მიხედვით და არა შემთხვევით აქ-იქ განაგონ რჩევათა ზედგავლენით, რომელთ-შორის უმრავლესი უცნაურ ჩვეულებაზედ და ცრუ-მორწმუნებაზედ არის დამყარებული.

წიგნში მოთავსებულია ათი-თერთმეტი თავი და ჯარკვეულია შემდეგი კითხვები: I) ბავშვის დაბადება; II) ძუძუს წოვება. მაწოვრის გიგიენა და ასმელ-საჭმელი. III) როგორ და რა წესით უნდა

წოვება, რას უნდა მიაქციოს ყურადღება დედამ წოვების დროს: დედის დარიგება. IV) ბავშვის ტირილი. ბავშვის ძილი. V) ბანაობა. ბანაობის წეს-რიგი. სიცივის შეჩვევა. VI) წმიდა ჰაერზედ ყოფნა, სეირნობა, გამღლები, ბავშვის ხელში დაქერა. VII) კბილის ამოქრა. კბილის ამოქრის ნიშნები. VIII) ძუძუს გაშვებინება. IX) ფეხის ადგმა. X) ენის ამოდგმა. XI) თამაშობა და გართობა.

ყველა ეს კითხვები იმდენად მნიშვნელოვანი არიან, რომ ვერც ერთი დედა მხარს ვერ აუქცევს. ამ წიგნში დალაგებით და გულდასმით არის ახსნილი ყოველივე, რამდენათაც, რასაკვირველია, თვით წიგნის სივრცე ნებას იძლევა, მკაფიო და ადვილი გასაგები ენა ხელს უწყობს მკითხველს ამ კითხვების გულდასმით შესწავლისათვის. ყველა ამ წერილებში გასჭვირს საგნის სიყვარული და თანაგრძნობა დაკვირებასთან შეერთებული. კილო ყველა წერილებს ისეთი აქვს როგორც შეჭფერის სატრფიალო საგანს, რომელიც ადამიანს სათაყვანოთ გაუხდია. საკუთარი ბავშვის დაკვირვებაც ამ მხრით შესამჩნევად დახმარებია ავტორს და ამიტომაც გასარკვევი თემები მეტის თანაგრძნობით არის განმარტებული.

ავტორისაგან აღებული თემები მეტ ნაწილად ისეთია, რომ უფრო სამკურნალო მეცნიერებას შეეხება, მაგრამ თუ პედაგოგმა იკისრა ამ თემაზედ წერა—ეს მხოლოდ საყვედურია ექიმებისთვის,

რომელთაც არ იზრუნეს ქართულად ამგვარ კითხვაზედ არაფრის დაწერა, ან გადმოთარგმნა, და ამავე დროს საქებარია პედაგოგისთვის. ქართულად არაფერი არ მოგვეძევა მეტადრე ბავშვის აღზრდის შესახებ, გარდა ორიოდ წიგნისა: I) კომპის ბავშვის მოვლა და II) ივ. კაციტაძის წიგნაკითხვათ: დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუმწოვარ ყმაწვილსა 1888 წ. მთელ საუკუნის გამავლობაში ამით თავდება ჩვენი ლიტერატურული სიმდიდრე ამ კითხვის შესახებ. ვინც სხვა რამ ენა იცის ის კიდევ აინაზღურებდა ან ნაკლს, მაგრამ ვინც არ იცის—მას რა ექმნა? კიდევ საზოგადოების ამ ნაწილისათვის არის სასარგებლო ეს ახალი წიგნაკი და იმედია დიდ სარგებლობასაც მოუტანს იგი მათ, რადგანაც ცოტად მაინც შეიტანს სინათლეს იმ წყვდიადში, რომელითაც მოცულია ჩვენი მიყრუებული კუთხეები და, თუ ვნებავთ ქალაქებიც.

თუ ვიგულისხმებთ ყოველივე ამას და გავითვალისწინებთ ამ მრავალ-ფეროვან მავნებლობას, რომელიც მისდევს ხოლმე უკულმართებულ აღზრდას პირველ ხანებშივე, მაშინ ექვს გარეშეა, რომ ყოველ ცდამ ამ წყვდიადის გასაშუქებლად წარმართულს, თანაგრძობითა და მადლობით უნდა მიეგვიგებოს ყოველი ქართველი მკითხველი.

ექიმა ვ. ღ—ძე.

ბავშვის მოვლა

(ხედავთგაყური წერილები ქართულ დედასთან)

წერილი პირველი.

თქვენს სასიამოვნო წერილში შემდეგი სიტყვები ამოვიკითხე: „დღეს ჩემი ბედნიერების დღია. ჩემი გული სავსეა იითა და ვარდით და თქვენცა გთხოვთ გაიხაროთ და მომილოცოთ ჩემი ცხოვრების ეს ბედნიერი დღე. დღეს მე „დედა“ ვარ და ან ჩემს დედობას თითქო ბუნებაც თანაუგრძნობდეს: იგი დამწვიდებულია ისე, როგორც ჩემი გული... მზე იჭვრიტება ჩემი ოთახის დარბაზის ჭვრიტულაში და მიაღერებს და მილოცავს ამ ბედნიერებასო. ჩენი. კარმიდამო სავსეა ფრინველებითა... ჭიკჭიკობენ და გალობენ და ერთი ორად მიორკეცებენ სასოებასო“. მეც ამ გარემოებებისაგან ნასიამოვნები, სულითა და გულით გილოცე ამ ბედნიერებას... მართლაცა და გამოუთქმელი და აუწერელია თქვენი აღტაცება და სიხარული, რომელიც თქვენს გადედებას თან მოყვა. რამდენს სხვა და სხვაობას შემოიტანდა თქვენს მყუდრო ოჯახში ეს თითის

მტკაველა არსება!? ეხლა, უეჭველია, სძინავს თქვენს მერცხალს და თქვენ გაფაციცებით დასცქერით მის უმანკო სასოებით სავსე სახეს და გენდომებათ, რომ ჩანთქათ იგი თქვენს ალერსში, გინდათ აიტაცოთ იგი, მიიკრათ გულზედ და მტლად დაედოთ ამ მოციმციმე ვარსკვლავს... თქვენს სიხარულს, თქვენს ქვეყანას, დაუშრეტელს სიმდიდრეს. ყოველი მისი მოძრაობა, მისი ხმაურობა ჟრუანტელსა გვვრით; სიხარულს ეძლევიით, როდესაც იგი შემოგჰყიტებს თავის პაწაწკინტელა, სასიამოვნო თვალებს და სტირით, როდესაც იგი დაიღრიჯება რომელიმე მიზეზისა გამო. ასეთია ხვედრი ყოველი დედისა და ეგ გარემოება სრულიადაც არ მაკვირვებს მე. ტყუილად კი არ ამკობენ პოეტები დედის ამ გრძნობას! ცყუილად კი არ გაიძახის ჩვენი პოეზიით სავსე ხალხი; „მზე დაწვა და მთვარე შობაო“. ღმერთმა ჰქნას, რომ ამ მზის ძლიერი და ნაყოფიერი სხივები არ დააკლდებოდეს თქვენს პატარა მთვარეს, რათა იგი „გაივსოს და გაიზარდოს“ თქვენი ნაზი გულის გასახარებლად და ჩვენის ქვეყნის სანუგეშებლად.

მაგრამ თქვენ, ქალბატონო, როგორც თქვენი წერილიდამ ვცანი ჯერედ გამოუცდელი დედა უნდა ბრძანდებოდეთ და ნუ აგიყოლიებთ ეს ტკბილი ხმები პოეტებისა. ნუ დაემონებით ცხოვრების სიამეს და მეტადრე თქვენს დედობრივ გრძნობით

აღზნებულ გულს, თორემ ბევრს ვარამს წააწყდებით ამ წუთისოფლად. ეხლა უეჭველია, გარს კეხვევით მრავალი თავისებურად „განსწავლულ კულ შემატკივარი“ და ბევრი რჩევითა და დარაკებით გაგიქედავენ ყურებს, მაგრამ უკუღმართობის ასაცდენად ნუ აჰყვებით მათ გამოცდილებასაც. აქონიეთ თქვენი მსჯელობა და ნამდვილი გამოცდილი ადამიანების სჯასა და დაკვირვებაზედ ააშენეთ აღზრდა თქვენის შვილისა. აი, ეხლაც კი ძლიერია მაგ გამოცდილი „ნათლიდედების“ გავლენა თქვენზე, როდესაც ბრძანებთ, რომ „ჩემი ემიკო ჯერ პატარაა, არაფერი არა გაეგება-რა და, მაშასადამე, მის აღზრდა-წვრთნაზე ჯერ აღრეა შევიწუხო თავიო.“ რამდენი შეუსაბამობა, რამდენი მავნებლობა იმალება ამ ცრუ შეხედულობაში, ბატონო ჩემო! ნუ თუ აქამდისინ ვერ შეატყეთ, ვერ გაითვალწინეთ ის გარემოება, რომ თქვენი ემიკო ჯერედ უნუგეშოა, უსიტყვო და სწორედ ამისთანა არსებას სჭირია ბეჯითობა და ყურადღება დედისა?! იგი ტირილით მოევლინა ქვეყანას და თქვენ კი უყურადღებოდ დატოვებული ბავშვი შეიძლება ტირილითა და ვიშით გაისტუმროთ იქ, საიღამაც აღარ ბრუნდებიან—არ უმასპინძლოთ ამ დაუძლურებულ, უნუგეშო სტუმარს, არ გაუღიმოთ, არ შეუმსუბუქოთ ტანჯვა-ვაება ამ პაწაწინა არსებას? გაგიმეორებთ კიდევ, ქალბატონო ჩემო. რომ ის თქვენი შიხილოლობა მიტის-მიტი

ცრუ შეხედულობაა და ამასთანავე მავნეც. ამას ამტკიცებს მრავალი სწავლული და პედაგოგი და ამ მხრივ უფრო მისაბამია დედებისაგან შესანიშნავი ფსიხოლოგი და მეცნიერი პრეიერი*). ამ შესანიშნავმა კაცმა თავისი ბავშვის დაკვირვება დაბადების პირველ დღიდანვე დაიწყო; ამას ის უნდა გამოერკვია თუ, რა პირობებში დაიბადა ეს ახლად მოვლენილი არსება? რა ნიშნებით შეიძლება გაიგოს კაცმა ბავშვის მომავალი ნიჭი? გაეგება რამე ამ პაწაწკინტელას იმ შთაბეჭდილებისა, რომელსაც იგი გამოჰხატავს ხოლმე, თუ არა? ამ შთაბეჭდილებას აქვს რაიმე კავშირი თუ არა მის ტანჯვა-ავადმყოფობასთან? აქვს თუ არა ბავშვს უნარი კეთილდღეობისა და კმაყოფილების გაგებისა? ან ერთი სიტყვით როგორია მისი ზნეობრივი მდგომარეობა, თუ ეს სიტყვა შეიძლება მიუყენოთ ამ საცოდავ და უაზრო არსებას, რომლის საქმე მხოლოდ ძუძუს წოვა და ძილია?! აი, ეს ერთი საბუთი, ქალბატონო ჩემო იმ თქვენი ცრუ შეხედულების გასაქარწყლებლად, რომელიც ზევითა მქონდა მოყვანილი. ჩავყვეთ ქვევით. ბავშვის სულის განვითარება, როგორც თქვენც უნდა მოგეხიენებოდეთ, დაბადებიდანვე იწყობა; ამ დროიდგანვე იწყება ბავშვის მუშაობა—შეეთვისოს იმ გარემოე-

*) იხ. რუსულად ნათარგმნი მისი თხზულება „სული ბავშვისა“.

ას, სადაც ამ პაწაწინა ადამიანმა უნდა იცხოვროს იგი თანდა-თან ვითარდება და ისევებს გარეშად აგნებიდამ შთაბეჭდილებას და განა ამ გარემოცვას არ უნდა მიაქციოთ ყურადღება და არ იზრუნოთ ამ განვითარებისათვის? ესეც რომ არ იყვეს ემომ ბატონო, იმას მაინც მიაქციეთ ყურადღება რომ გონებრივ განვითარება ახლად დაბადებულის აწყება ანაფრთხი. იქნება ეს სიტყვა არ ექაშნიკო ხოგიერთა თავ-მოყვარე დედას, რადგანაც თავიანთ მვილი უმეტეს შემთხვევაში წარმოუდგენიათ ჭკვია და განვითარებულ არსებად, მაგრამ მე კიდევ ვიტყვი, რომ ჩვენ არაფერთანა გვაქვს საქმე და გან ამ გარემოებას არ უნდა მიაქციოთ თქვენი ყურადღება, თქვენი ზრუნვა, რომ ამ არაფერიდამ კაცს ამოვიყვანოთ? ქალბატონ მალბრანშის ბრძანების არ იყოს, იმ წუთს, როდესაც ბავშვი სტოვებანელეთს და მოდის ამ ქვეყნად, ჰხვდება სიცოცხეს ყოველი გარეგანი საგანი ათრთოლებს მას, ყველავერი აშინებს, რადგანაც ყოველივე ახალია ამისთვის, გამოუცნობელი და არც იცის თავი როგორ დაახწიოს. რა ღონე იღონოს. მხოლოდა სტირი და ჭყვივის და ამ ტირილში და ჭყვივითა მისი ღრძევა და ვედრება, რათა გარეშე პირებმა დაიხსნან, დაიფარონ იგი ამ ტანჯვასა და შიშსამის შემდეგ ჩვენ კიდევ გავიძახით: „ჩვენი შვილი გერ პატარაა, არა გაეგება რა და მის აღზრდა იართანაში შემოიღეშა, შეიძობა იიზრუნოთ“

აღიან სასიამოვნოა, რასაკვირველია, ბაჯალლო
აქროდ წარმოვიდგინოთ პირველი ბავშვის ცხო-
რება, მაგრამ რა ვქნათ, რომ ჯერ-ჯერობით არა
„კატანა“ გვაქვს საქმე, რომლის გრძნობები, გარ-
და შეხებისა, ჯერედ შეყუჩებულია და მისი ორ-
ჯანოები არ მოქმედობენ; იგი ჯერედ უსიტყვოა,
სუნჯი, თუმცა კი ჭყვის, კივის, მაგრამ რა აზრი
ქვს მუნჯის კვილსა და ჭყვილს? სხვათა შორის
იმ გვარი შეხედულების ბრალია, რომ პირველ წე-
ლიწადს პროცენტი სიკვდილისა უდრის მეოთხედს
დაბადებისას. ტყუილად კი არა ბრძანებს დოქ-
ტორი ლორენი: „ბავშვი პირველ ხანებში გაშლიწ
ლი მინდორია ავადმყოფებისთვისაო. მრავალი იბა-
ღება და მრავარსავე ვუსპობთ სიცოცხლეს ჩვენი
უზრუნველობით, ჩვენი გაუგებრობითაო. პირველი
წელიწადი დაბადებისა-ეს ის ხანაა, როდესაც ცო-
ტა რამ მიზეზი უნდა რომ ბავშვი გამოვასალმოთ
წუთი-სოფელსაო: ან თუ შევაციებთ, ან თუ დავა-
ცხუნებთ, ან თუ გადავაცილებთ იმ ნორმალურ
პირობებს ცხოვრებისას, რომელიც ამისთვის საჭი-
რო იყო და სხვა“.

მაგრამ ნუ შედრკება თქვენი გული ამითჲკ.
თქვენ გაქვთ ხელთ მრავალი საშუალება, ბატონო
ჩემო, რომ ყოველივე დასთრუგნოთ და თქვენი
საყვარელი ემიკოს აღზრდის ჭეშმარიტი გზა მის-
ცეთ, მხოლოდ ამას გთხოვთ—განიშოროთ ეს თქვე-
ნი აზრი, რომელღზიდაც ამდენი გილოაპარაკით

ემოდ. თბილ წყალში ბანაობა, თბილი ლოგი-
ნი, საშუალო სინათლე, სასიანოვნო ხმაურობა,
არღვების ზომიერი მოძრაობა—იხმარეთ პირ-
ველ ხანებში ეს საშუალებანი, თუ გინდათ, რომ
იქვენი ემიკო მუდამ ნიშვილობიანად გამოიციქირე-
ხოდეს, რომ მუდამ ნხიარული იყვეს, მუდამ ნომ-
ნიენი, მოძრავი, სახე დამშვევებულნი, თვალები
დაწყნარებული და სხვ. და თუ როგორ შეასრუ-
ლებთ ყველა ამას-ამის შესახებ სხვა წერილებშიაც
ამოგელაპარაკებით.

წერილი მეორე.

თქვენმა პატრიცემულმა წერილმა ძალიან გამა-
არა, როდესაც იქიდან ამოვიკითხე, რომ თქვენ
თვითონ აწოვეთ ემიკოს ძუძუს. ეს ასეც უნდა
იყვეს, ქალბატონო ჩემო, რადგანაც საუკეთესო
და ბუნებითი საკმელი ძუძუ მწოვარა ბავშვის-
თვის-ეს დედის რძეა; ამ საკმელს ბავშვი ალლოთი
ქმებს დაბადების რამდენიმე საათის შემდეგ და
პოვნის თუ არა, იწყებს კიდევ ხოლმე შექცევას.
დედის რძე შესდგება კაცის სხეულის იმისთანა
ნაწილებისაგან, რომელსაც შეფარდებით ბავშვის
აღზრდასთან, ადვილად და მალე ინცლებს ბავშვის
კუჭი და ამისთვისაც შეადგენს საუკეთესო და საკ-
არის. საკმელს ძუძუ-მწოვარა ბავშვისთვის. მაგრამ
ამისთანა სამწიხარო პირობებისა და წარწყობიერ

აოლმე ცხოვრებაში—დედას შეუძლიან აწოვოს
ქუძუ ხოლმე და არ აწოვებს, რადგანაც დაჯერე-
ბულია იგი, რომ ძუძუს წოვებით მას დააკლდება
სისაღე, დააკლდება მიმზიდველობა და სიკეკლუცე,
დააკლდება დრო წავიდ-მოვიდეს, საზოგადოებას
არაფერში ჩამორჩეს და მეჯლიშითა და სხვა გასა-
რთობებით თავი შეიქციოს. რა გულსაკლავს, რა
უხერხულ სურათს წარმოადგენს ამისთანა განცა-
ლკეცება დედების! ნუ თუ ეს დალოცვილები ერთხელ
მანც არ დაეკითხებიან თავიანთ თავს-თუ რისთვის
არიან იგინი მოვლენილნი ამ ქვეყნად? რაა მათი
დანიშნულება? რისთვის უკისრიათ მათ მძიმე და
მეტის-მეტად სიმპატიური უღელი დედისა, თუ
იგინი იმავე დროს გაურბიან მას?! რომელი ცხო-
ველი დასტოვებს თავის შვილს, მანამ არ წამოზ-
რდის, არ უწინამძღვრებს მას: არ დაუყვავებს, არ
ანუგეშებს მას, არ იცვლქებს მასთან, არ აქმევს
და არ ასმევს, არ გაიმკვალება შვილის სიყვარუ-
ლით, არ გაიხარებს მისი სიხარულით, არ აუჩუყდება
გული მისი უბედურობით. და ჩვენ ხომ ადამიანე-
ბი ვართ, ბატონო ჩემო! რატომ არ წარმოვიდგე-
ნია, არ გვიფიქრია ამაზედ, რომ არაფერი ისე არ
„გააკეკლუცებს“, არ „გაასპეტაკებს“ ქალის გულსა,
როგორც დედის მოვალეობა! განა არ იცით თქვენა,
რომ ყოველი გარეგანი ჰქრება შარშანდელი თოვ-
ლივით, ყველაფერი წუთიერია, უკვდავია მხოლოდ
შინაგანი ღირსება ადამიანისა, შინაგანი სიოაპაზი

და სიკეკლუცე—მის ვარდს ვერ წარიტაცებს ქარი
ვერაფერი დააქნობს მას. ეს შინაგანი სიკეკლუცე
არის კიდევაც „კარგი დედობა“ და ვარდი ეგ ხო
თქვენნი შეილია, რომელსაც თქვენ საკუთარ ძუძუ
სთან თამაშობა უნდა, ცელქობა და თქვენ კი აკლებს
ამ სიამოვნებას: ყოველი მისი მოძრაობა, მისი ჭყვილ
კივილი, მისი ღიმილი—განა მეჯლიში არ არის
ღღესასწაული არ არის ყოველი დედისთვის? და რას
აჩადიან ეს დედები?—ან დაბა-დებითვე იწყებენ გო-
კოების ანაბარა ძროხის რძის ძლევის და ნელ-ნელ-
ლა აქნობენ ყვავილს, ან არა და იჭერენ ძიძებს
და თვითონ კი გამოირიცხავენ ხოლმე თავს დედის
სიიდან. და ეს კი ავიწყდებათ დოქტურის დიტ-
ტესის შენიშვნისა არ იყოს, რომ ამ შემთხვე-
ვაში ორ პაწაწინა ღრსებას უკარგავთ დედას: ძი-
ძის შეილი რჩება უდედოთ, რადგანაც დედა წაარ-
თვეს მას სხვებმა და ეს ახალი მოვლენილი ბავ-
შვიცა რჩება უდედოდ, რადგანაც ნამდვილმა დე-
დამ არ ინება ხელმძღვანელობა და საზრდოება,
ყვება მისი; ან კიდევ გადასაწვეტია ეს კითხვა—შე-
იძლება თუ არა ვენდოთ ამ ახალ დაქვრილ დე-
და-კაცის სისადეს, კეთილ-გონიერებას და სინი-
ღისიერებას? შესძლებს იგი თუ არა თავისი თავხე-
ლობით დაარღვიოს სიმშვიდე ოჯახისა? შეიძლება
თუ არა მოგვთხოვოს ძიძამ ისეთი რამ, რომლის
დაკმაყოფილება ჩვენ არ შეგვეძლება? მეორე მხრივ
იოიო—ზინ შიძობაზე და არა დასაკმაყოფილოდ

ჩიძის საფუძვლიანი და სამართლიანი მოთხოვნილება? ან ხომ შესაძლოა დადუნება გრძნობისა და აიყვარულისა დედისადმი, რადგანაც დედის ძუძუთ არ გაზრდილა და სულ სხვა პირს გაუწევია მისთვის დედობა.

მაგრამ არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, ბატონო ჩემო, როდესაც დედა, სიყვარულით გამსჭვალული და თავდაღებული შვილისათვის, ვერ მოახერხებს, ავადმყოფობისა გამო—ძუძუ აწოვოს თავის საყვარელ შვილს და ძალა-უნებურად უნდა მიმართოს ძიძას, რომლის ამორჩევაშიაც დიდი სიფრთხილე უნდა, რადგანაც შეიძლება ძიძა ავადმყოფი გამოჩდეს, რაიმე ავ-ზნიანი ავადმყოფობით, შეიძლება ამისი რძე ძალიან შორს იყოს თავისი თვისებით იმ რძესთან, რომელიც საჭიროა ბავშვის სასაზრდლოთ; აქ ძალიან სიფრთხილე მართებს დედას და ყველა ამისთანა შემთხვევაში უნდა ექიმს მიმართოთ ხოლმე გამოსაკვლევად როგორც ჩიძისა, ისე ძიძის ჯან-მრთელობისა.

სხვათა შორის ამასაც მთხოვთ შეგატყობინოთ, თუ როგორ უნდა მოიქცეს დედა, რომ მისი რძე ყოველთვის საკმარისი იყვეს და სასარგებლო თვისი ღირსებით. რა უნდა სჯამოს დედამ? რა პირობებში უნდა იცხოვროს? და რას უნდა ესწრაფებოდეს იგი? „ყველა ამ კითხვებზედ მიპასუხეთო და, გეფიცებით ჩემი ემიკოს პაწაწინა თვალებს, რომ ყველაფერს შეგასრულობ, რაც უნდა დიდი რა-

ბრკოლება გადამელობოს წინაო.! რამდენი გრძნობა, რამდენი სიყვარული იხატება ამ თქვენ სიტყვებში!! ვაშა თქვენ დედობას, თქვენს კეთილსინიღისიერებას, ჩემო ბატონო! თქვენ განგიზრა ხავთ რაც შეიძლება სწორე იყვეს თქვენი შეილი აღზრდა და ყველაფერს ჰკითხულობთ, ყველაფერი გაგება ვნებავო. მეც დიდი ხალისით გიგკმაყოფილებთ თქვენ ცნობის-მოყვარეობას და ყოველ ნათქვამს დავამოწმებ იმისთანა მეცნიერთა სიტყვებით, რომელთაც თამამად შეგიძლიანთ ენდოთ დამათი სიტყვები სახელმძღვანელოდ გაიხადოთ ადიდ საქმეში.

„მაწოვარ დედას, ამბობს დოქტორი ვ. ამმონი*), უწინარეს ყოვლისა, ვინემდის იგი ძუძუსაწოვებს, ის უნდა ახსოვდეს, რომ მისი საზრუნავი აკვანი მხოლოდ ბავშვია და ამისთვისაც ბევრი რაინდა უარყოს, როგორც საჭმელისა და სასმელის მესახებ, ისევე თავისი ჩვეულებისა და საზოგადოდ თავის ცხოვრების წეს-რიგობისა. დედის სულიერ ჰდგომარეობაზეა დამოკიდებული ხშირად რძის რაოდენობაც და მისი თვისებაც; რამდენიც იგი ყულ დამშვიდებული მიაწვდის ძუძუს თავის შვი-

*) იხილე „Золотая книга“. Гигиена беременности. Обязанности матери. Уход за маленьким ребенком. ნიზ. დ-რი ფ. ამმონისა. რა კარგი იქნებოდა ეს წიგნი ვად. სოეთარგმნა ვაშმეს ქართულად რუთულადან მაინც, თუ ნემე-
ს 5

ლს, იმდენად დაიხსნის როგორც თავის ბავშვს, ისე თავის თავსაც უოველგვარ ავადყოფობისაგან. სისაღე ბავშვისა სრულიად დამოკიდებულია დედის სულისა და სხეულის მდგომარეობაზედ. მაწოვარ დედას ექნება მუდამეამს კარგი რძე მაშინ, როდესაც მისი ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს, როდესაც იგი სასმელ-საჭმელში დაიცავს ზომიერებას და კიდევ საზრდოობს იმდენათ, რამდენათაც ეს საჭიროა ყოველი საღი ადამიანისათვის, როდესაც იგი უსაქმობის გამო მოწყენას არ მიეცემა და შესაფერ მუშაობით შეიქცევეს თავს; როდესაც ხშირად ისარგებლებს წმინდა ჰაერით და ყველა შემთხვევაში თავს გაუფრთხილდება; როდესაც იგი მოსვენებით დაიძინებს და საჭირო დროს იფხიზლებს“. და რაც შეეხება სასმელს, განაგრძობს იგივე ექიმი, „უპირატესობა უეჭველად წყალს უნდა დაეთმოს, რადგანაც იგი არ ახურებს ადამიანს და სისხლს არ უღელვებს. მაგრამ ხშირად დედები არ კმაყოფილდებიან ამ სასმელით და მიმართავენ ხოლმე ღვინოსა და ლუდს, რომლებსაც დედები კარგად იტანენ, მაგრამ ბავშვებზედ კი ცუდად მოქმედობს. შუშუნა სასმელები, როგორც მაგ. სოდით შემზადებული წყალი, ლიმონათი, ზელტერის წყალი და სხვა. ძალიან მავნებელია ბავშვისთვისაც და დედისთვისაც და რაც შეეხება ჩიისა და ყავას— მაშინ არიან ეს სასმელები სასარგებლონი, თუ მაგრად არ არიან მოხარშულნი და თუ რძითა სჯამენ; სხვა

შემთხვევაში ესენი ახურებენ გულს და გამოიწვევენ გულის ფრიალს“.

რომ უფრო თვალსაჩინოდ გავითვალისწინოთ ყველა ზემონათქვამი, ქალბატონო, ავნუსხავ ყველა ნათქვამს და ლუფრო გასაგები იქნება თქვენთვის: 1) მაწოვარმა დედამ უნდა თავისი ცხოვრება ჰოაწყოს თანახმად ბავშვის მოთხოვნილები; 2) საქმელი, რომელსაც დედა თავისთვის ხმარობს, უნდა იყვეს მარგებელი, მსუბუქი, ადვილად მოსაწვლელი; სასმელები კი გამაგრილებელი და არა გამახურებელი; 3) ხორცეული და მცენარეული უნდა ერთი ერთმანეთსა სცვლიდეს; დედისთვის ის საქმელი უფრო სასარგებლოა, რომელშიაც ბევრი ახამებელია და შაქარი. მჟავე, მლაშე და ყოველგვარი მუყუყი, საზოგადოთ მავნეა დედისთვის; 4) დედა უმეტეს ნაწილათ უნდა წმინდა ჰაერზედ იმყოფებოდეს და ერიდებოდეს გაფუჭებულ ჰაერს; ამისთვისაც საჭიროა მისთვის სეირნობა, მაგრამ სეირნობა ზომიერი; უნდა ერიდოს იგი ყოველგვარ კვევას, ცხენზედ ჯდომას და სხ.; უნდა ეცადოს დედა, რომ არ გაცივდეს და ამის ასაცდენად საჭიროა ყურადღება მიაქციოს თავისს ტანისამოსს; 5) მან ძუძუები უნდა თბილად შეინახოს და ამასთანავე ტანისამოსით არ უნდა იყოს შეზღუდული; 6) იგი უნდა მშვიდობიანად იძინებდეს, რომ დღე ღამედ არ გადააქციოს და ღამე დღედ; 7) ვნებაში და საზოგადოთ ცოცხალი არ იქნებოდეს.

მიერება უნდა დაიცვას; 8) ყოველივე დელვის შემდეგ, მაგ., გაჯავრებისა, დარდისა, განრისხებისა, სევდისა და შეშინებისა, მოულოდნელი სიხარულის შემდეგ, ბავშვს არ უნდა მისცეს დედამ ძუძუ, რამდენიმე საათის განმავლობაში, ვინემ გული საგულეში არ ჩადგება*); ურიგო არ იქნება ამ შემთხვევაში, ვინემ ძუძუს მიაწვდიდეს დედა ბავშვს, მან ძუძუ გამოიწველოს ცოტოდენი; 9) იგი მოვალეა ბეჯითად თვალ-ყური ადევნოს თავის სხეულს და მეტი ყურადღება მიაქციოს კუჭის მდგომარეობას.

აი, ეს მოკლე დარიგებანი, ქალბატონო ჩემო, ახლა თქვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ ისარგებლებთ ამ დარიგებით; ყოველ შემთხვევაში კი მე ძალიან მადლობელი დაგრჩებით, თუ ინებებთ და გამიზიარებთ თქვენს შთაბეჭდილებას ამ წერილის შესახებ და ყველა აქ ნათქვამისა თქვენ და თქვენის შვილის საბედნიეროდ და სადღეგრძელოდ.

P. S. ნუსხა საჭმელებისა და სასმელებისა, რომლებიც სასარგებლონი არიან მაწოვარი დედისთვის. ეს სია შედგენილია დოქტორ ფ. ამონის

*) ექიმ კონტეს მოჰყავს ერთ მაგალითი ანჩხლი დედის ცხოვრებიდან, ომელსაც 10 შვილი დაეხოცა საშინელ ავადმყოფობის შემდეგ. მხოლოდ მეთერთმეტე გადარჩა, რადგანაც კვება ამისი მიანდეს ძიძას და მოაშორეს ამ ანჩხლი დედა-კაცის რძის გაიღონას.

ქიერ და გადათვალიერებული მიუნჰენის პროფეს. დოქტორ ფ. ვინკელისაგან.

სასმელები: მსუბუქი ლუდი, ბულიონი, კარგო რძე, კაკაო, შოკოლადი უვანილოდ, ყავა რძით: ნუშის რძე, ჩაი რძით, შაქრის წყალი, ისე წყალი.

საჭმელები: ცერცვი წვნით, პური შავი და თეთრი, რძეში მოხარშული კართოფილი (პიურე): ბრინჯი, ერბო, თაღგამი, შაქრით მოხარშული ახალი ხილი, ან ჩირი, თოხლოდ და მაგრად მოხარშული კვერცხი, სისირი, შემწვარი ხორცი: შვრიის ფაფა, კურღელი, თევზეულობა (ორაგული, კალმახი, ზუთხი და სხ.), წაბლი, კართოფილი ყოველგვარად მომზადებული, კაკაბი, ლორი (მჭლე), ნადირისა და გარეული ფრინველის ხორცი, მოხარშული კუბატი.

მაგნე სასმელა და საჭმელა:

სასმელა: მაგარი სასმელები: რომი, ლიმონათი, შუშხუნა სასმელები.

საჭმელა: სალამურა (გველ-თევზა), ხილი: ვაშლი, ქლიაფი, მსხალი, ჭერამი; სოკო, იხვი, ძმარი აუდულარი, მსუქანი ხორცი, მსუქანი ბატი: მდოგვი, ზირა (ТЛИНЬ, მცენარე), პილპილი, ჯავზი (МУСКАТНЫЙ ОРЕХЪ), ვანილი და ზაფრანა.

წერილი მისამე.

მეორე წერილში, ქალბატონო ჩემო, მოგასენეთ, რომ უმთავრეს საქმელს ძუძუმწოვარა ბავშვისათვის შეადგენს დედის რძე-მეთქი. მაგრამ ამის თქმა საკმარისი არ არის. აქ ჩვენთვის საჭიროა ისიც კი ცოდეთ, თუ როგორ უნდა მისცეს დედამ ძუძუ, რა დროს? ძუძუს-წოვების დროს რას უნდა მიაქციოს იმან ყურადღება? უამისოდ კი დედა იმ კალატოზს ეგვანება, რომელიც მშვენიერის ღირსების მასალას მოაგროვებს სახლის ასაშენებლად, გეგმასაც საუცხოვოს მოიპოვებს და საქმეში კი ვერ მოიხმარს რიგიანად ვერც ამ საუცხოვო მასალას და ვერც საუკეთესო გეგმას. აქ კარგ მასალად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ დედის რძე და შენობად კი— ეგ თქვენი პაწაწინა არსება, რომელზედაც ასე აღტაცებით ლაპარაკობთ თქვენ წერილებში. წარმოვიდგინოთ, ქალბატონო ჩემო, რომ თქვენს ემიკოს აძლევთ ძუძუს მაშინ, როდესაც იგი ტირის, როდესაც მას რაღაც აწუხებს; წარმოვიდგინოთ ისიც, რომ ერთხნობით ბევრი რძეც მოაწოვეთ.

რა ხდება მაშინ? ნეტა ვიცოდე, დაფიქრებულხართ ამაზე თუ არა? აქ იგივე ხდება, რაც კალატოზს მოუვიდა, რომელმაც საუცხოვო მასალა მოაგროვა და რიგიანი სახლი კი ვერ ააშენა უცოდინარობისა გამო. იქ სახლს სიმკვიდრე აკლია, ა, თქვენს შვილს სისალი, თუმცა შეგძლოა აღნიშნო

ლი მასალის შემწეობით ყოველ ჟამს დღეგრძელო
კემყოფებინა იგი. მაშასადამე, აქ საჭიროა დედან
აცოდეს ყოველი ის პირობა, თუ რა დროს შეერ-
გება ბავშვს დედის ძუძუს; და სწორედ ამ პირობა-
ზე მინდა, თუ თქვენი ნებაც იქნება, ორიოდ სი-
ტყვა მოგახსენოთ კიდევ.

პირველად ყოვლისა ეს უნდა ვიცოდეთ, რომ
დაიბადება თუ არა ბავშვი, მაშინვე არ უნდა მის-
ცეს დედამ ძუძუს. აქ საჭიროა დაისვენოს როგორც
მელოგინემ, ისე მასმა ახალ-დაბადებულნიც; შემ-
დეგ კი, ე. ი. 8 საათის არა ადრე და 12 საათის
არა უგვიანეს, საჭიროა ბავშვისათვის ძუძუს მო-
წოდება. წინაღ 36 საათის შემდეგ მიაწვდიდნენ
ხოლმე ბავშვს ძუძუს იმ მოსაზრებით, რომ ხსენი-
რომელიც ქალს ფეხმძინობისას მოუგროვდა, გა-
ქრეს და მისი ადგილი რძემ დაიჭიროსო, მაგრამ
როგორც ექიმების უკანასკნელმა გამოკვლევამ აღ-
მოაჩინა, ეს ხსენი სრულიადაც არა ყოფილა მაინც
და თუ ექიმ ვ. ფ. ზიბოლდს დაუჯერებთ, თურმე
მარგებელიც კი ყოფილა*). მივაქცევ თქვენს ყუ-
რადლებას ერთს გარემოებასაც—ერთს დიდ შეც-
დომას დედისას—ვინემ მას ძუძუსი რძე ჩაუდგებო-
დეს—ხშირად, ძალიან ხშირად, ახალ-დაბადებულს

*) О вскармливании грудного ребенка и уходе
за нимъ въ первый годъ жизни—დოქტორი ვ. ფ. ზი-
ბოლდს.

აძლევენ ხოლმე შაქრის წყალს, კამისა და გვირი-
ლას ჩაის და ან კიდევ სხვა სასმელებს, რომლებიც
ჰაენებლობის მეტს არაფერს სიკეთეს არ აძლევენ
ბავშვს. დოქტორი ზიბელდის თქმისა არ იყოს—ან
რა საჭიროა ამ სასმელების ძლევა, როდესაც ახალ
დაბადებულს სრულიად კარგად შეუძლიან რვა-
თორმეტი საათი გასძლოს უსაქმლოდ და ამ ხანის
განმავლობაში მისი უსაქმლოდ დარჩენა სიკეთესაც
მოუტანს ბავშვს, რადგანაც უფრო მაღიანად ჩაე-
კონება იგი ძუძუს**). მხოლოდ აქ კი საჭიროა
დედამ ყოველ დღე ჩვეულებრივ ცივ წყალში და-
სველებულ ტილოთი გაიბანოს ხოლმე ძუძუები და
ეს საქმე რომ უფრო ადრე—ორსულობის უკანას-
კნელ თვეებში დაიწყოს, ამას ხომ არა ემჯობინე-
ბა-რა.

დაბადების პირველსავე დღეებში უნდა ყურად-
ღება მივაქციოთ, რომ წეს-რიგზედ მიმდინარეობ-
დეს საზრდოობა ბავშვისა. თუ დედა წარამარა აწო-
ვებს ძუძუს—ამ გარემოებას ძალიან ცუდი შედეგ-
აქვს როგორც დედისათვის, ისე ბავშვისთვისაც.
ვთქვათ, რომ თქვენს ემიკოს ძალიან ხშირ-ხშირად
აწოვებთ ძუძუს, ბავშვი ამ გარემოებით უეჭველად
მოიშლება ჯანში; და თუ ნაკლებს საქმელს მია-
წვდით, ისე ნაკლებს, რომ მისი მოთხოვნილება არ

***) Золотая книжка.—სტატია ამმონისა: მ.წოვარ-
დელა და ძუძუ-მწიკარა ბავშვის

იქნება დაკმაყოფილებული—ეს გარემოებაც, უეჭველია, დაადნობს და დააჭკნობს ბავშვს. მაშასადამე, აქ ზომიერება საჭიროა და ეს ზომიერება უნდა დაცულ იქმნას ბოლომდის, თუ გინდათ, რომ ბავშვი ჯანსაღად იყოს და არც თქვენ შესწუხდეთ მისი მუდამ-ჟამ ავადმყოფობით.—მივაქცევ თქვენს ყურადღებას ერთს სამწუხარო მოვლენას, რომელსაც გთხოვთ, რომ დიდი ყურადღება მიაქციოთ, ქალბატონო, და ყოველ შემთხვევაში არ დასტოვოთ უყურადღებოთ ეს ბევრი დედებისათვის გაუგებარი მოვლენა. მე მოგახსენებთ ბავშვის ჭყვილ-კივილზე, რომელიც დედას ძალიან აშინებს, ჟრუანტელსაჰცერის და ყველა ამ მოვლენას თავისებურად ჰხსნის: ან ავადმყოფობას აწერს, ან არა და უფრო ხშირად შიმშილს და სჩრის წარა-მარა ძუძუს საცოდავ ბავშვს. და ეს კი ავიწყდებათ, რომ ყვირილ-ჭყვილი ბავშვისა—ეს მისი ლაპარაკია, მისი ტიკტიკი; იგი ინსტინქტურად გიზიარებთ თავის გრძნობას, გელაპარაკებათ რაღასაც, გემუდარებათ და თქვენ კი ვერ მიმხვდარხართ ამას და ძუძუს ჩატენით პირს უკუმავთ, უარჰყოფთ მის გრძნობების გამოხატავს.

ხანდა-ხან კი ბავშვი ჭყვივის, სტირის იმისთვის, რომ იგი მოწყენილია, მას უნდა გართობა, მდგომარეობის გამოცვლა, სხვა და სხვაობა; მიდით მასთან, მიუალერსეთ, გაშინჯეთ იგი, იქნება ცუდათა წევს ეს პაწაწინა არსება, იქნება კუჭის მოშლილობა აწუხებს, იქნება მეტის-მეტად შებოქვილია

იგი ჩერებით და ამისთვის თავისუფლად ველარ მოძრაობს იგი.— „რათა დარწმუნდეთ, რომ ბავშვის ჭყვიღ-კივილი ყოველთვის შიმშილით არ წარმოდგება,“ ამბობს ამმონი, „საათობით აძლიეთ ხოლმე ძუძუ ბავშვს. სრულიად საკმარისია ბავშვმა დღე-ღამეში 6—9 ჯერ მოსწოვოს ძუძუ, სამ საათში ერთხელ; ბოლოს-კი რაც შეიძლება იშვიათად. ამ საათობით წოვებას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით დედისთვისაც, რომ ღამე მოსვენებით დაიძინოს ხოლმე. მიაჩვიეთ ბავშვი ისე, რომ ღამის 10 ან 11 საათზედ მოაწოვოთ ძუძუ, რომ დილაამდის დედა-შვილმა ტკბილად და მოსვენებით დაიძინონ. პირველ ხანებში ეს მეტის-მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ თუ დედამ ხასიათი გამოიჩინა და არ მოაწოვა ბავშვს, ვინემ დრო არ მოვა, მაშინ-კი ყოველი საქმე მოგვარდება. თუ ბავშვსა სძინავს ამ დროს, დეე, ეძინოს, ნუ გააღვიძებთ ამ ბატონს, შიმშილი თითონ გააღვიძებს და მოგთხოვთ ეს პაწაწკინა ძუძუს.“ ექიმმა ზიბოლდმა ასე, ამრიგათ განაწილა საზრდოობა ბავშვისა საათობით: *) 7 საათზედ დილით, მერე 10 საათზედ ისევ დილით, პირველ საათზედ ნაშუადღევს, საღამოს 4 საათზედ, საღამოს 7 საათზედ და ღამე 10 საათზედ. ეს განაწილება ზოგს ცოტა არა სასტიკად ეჩვენება, მაგრამ

*) იხ. О вскар. груд. ребенка и уходѣ за нимъ въ первый годъ жизни: стр. 17.

ცოტა ცდისა და მეცადინეობის შემდეგ ისე მიეჩვევა დედაცა და შვილიც ამ რიგსა და წესს, რომ ბედნიერად ჩასთვლიან თავიანთ-თავს მუდამ ჟამს. აქ ამასაც დავძენ; ბატონო ჩემო, რომ ყოველივე ესეცა და სხვა ზემონათქვამიცა ნაცადი მაქვს ჩემს საკუთარ შვილზედ და დღეს იგი მეათე თვეშია და არც ერთხელ მუცელი არ წამოსტკივნია, ფაღარათობა არ ჰქონია და ძილითაც კარგა დაუძინია როგორც ამას, ისე ამის დედასაც. ამისთვისაც გულითა და სულით გირჩევთ სცადოთ ყველა ეს და ამ რიგად თქვენი საყვარელი შვილი ააცდინოთ მომავალში მაინც რაიმე მოულოდნელ შემთხვევას. და თუ ვინცობაა, თქვენი ემიკო ღამე დაგიჩვევიათ ძუძუს წოვებას, ამ ჩვეულებასაც შეიძლება ბოლო მოულოთ, თანახმად ექიმ ზიბოლდის წინადადებისა: თუ ბავშვმა გაიღვიძა ღამე და დაიწყო ყვირილი, ძუძუს მაგივრად მას 1—2 ჩაის კოვზით დაალევინეთ ცივი აღუღებელი წყალი, უეჭველად უშაქროდ. ამითი ბივში წყურვილს მოიკლავს და მის კუჭს შვება მიეცემა. ამ წესით ბავში 7—8 დღის შემდეგ გადაეჩვევა, დაიძინებს მოსვენებით და მომვლელებსაც შვებას მისცემს.

მაგრამ არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც დედის რძეს არა კმარობს ბავში; ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ სხვა დამატებით საზრდოს, რომლისგანაც უპირატესობას ექიმები ძროხის რძეს აძლევენ, თუმცა-კი ბევრი მათგანი თხის რძეს და

კირის რძეს უფრო სასარგებლოთა სთვლიან, მე აქ არ შეუდგები ყველა ამის ჩხრეკას, რადგანაც სხვადა-სხვა აზრი ექიმებისა და ბავშვების მოკეთებებისა უფრო აგირევენ გზასა და კვალს. ერთი ამას ამბობს და ერთი იმას. ერთი ასე სჯის და მეორე ისე და ამიტომ, ყოველ ამის ასაცდენად, მე ჩემს დაკვირვებას და გამოცდილებას დაგიყენებთ თვალწინ: ჩემი შვილისთვის რვა თვემდის არაფერი სხვა საქმელი არ მიგვიცია, გარდა დედის რძისა, 8 თვიდამ ამ საქმელს მიუმატეთ ძროხის რძე, დღეში ორჯელ თითო ფინჯანი, მერე სამჯერ და ოთხზე ავედით. გახდა თუ არა ცხრა თვისა—ძროხის რძე დავაცოტავეთ და ამის მაგივრათ ნესტლეს ფქვილი შემოვიღეთ; ამ ფქვილში ხორბლის ფქვილიც ურევია, კვერცხის გულიც, რძეც და შაქარიც და თავისი ნაწილებით ძალიან უახლოვდება დედის რძეს. დოქტორი მორპენის აზრით, რომელმაც ეს ფქვილი სცადა 100 ბავშვზედ თავშესაფარში, ძალიან კარგად რამ არის ბავშვის საზრდოთ. ამ ფქვილიდან ფაფას ვაკეთებთ ხოლმე ისე, როგორც თვით ნესტლე ურჩევს, და ამ ფაფას ისე გემრიელათ შეექცევა ჩვენი შვილი, რომ ეხლა ორ კერძიდამ სამზედ გადავედით და დიდათ სასარგებლოთ მიგვაჩნია კიდევ. ცოტა ხნის შემდეგ თვითო თოხლო კვერცხსაც მივცემთ დღეში და ცოტაოდენს ხორცი წვენსაც.

აი, ქალბატონო, ყველა ის, რაც მე უნდა მე-

აქვა კვებას შესახებ და ახლა თქვენი გამოცდილების საქმეა—როგორ იმოქმედებთ და, იმედია, საღე, ძალიან მალე გამიზიარებთ თქვენს შთაბეჭდილებას.

წერილი მეოთხე.

თქვენა მწერთ, რომ ჩემი ემიკო როგორღაც ერა მყავს გუნებაზე: „ხშირ-ხშირად სტირის, ჭყი-ქის, ცოტა სძინავს, ძილშიაც მოუსვენრად არის და სიცხე კი არა აქვსო. შევალოცვინე კიდევ, როგორც თვალ-ნაკრავს, სხვა ღონისძიებასაც მივხართე, რაც კი მასწავლეს ჩემი შვილის გულშემაჯივართ, მაგრამ ცვლილებას არაფერს ვატყობო“. აწორედ რომ გულ-საკლავ სტრიქონებსა მწერთ, ქალბატონო ჩემო, და გეფიცებით მაგ თქვენი პაწაწინა ბავშვის ნზესა და მთვარეს, რომ თქვენ კულწრფელობაში და კეთილ-მისწრაფებაში დარწმუნებული რომ არ ვიყო, ღიდს საყვედურს გამოგიცხადებდით ამ სტრიქონებისთვის. ნუ თუ აქამდის ვერ შეისწავლეთ თქვენი ბიჭიკოს ბუნება და ვასიათი, ნუ თუ ვერ მიმხვდარხართ იმას, რომ, თუ ბავშვს სიცხე არა აქვს, არ ახველებს, სურდო არა სჭირს, მაშინ მისი მოუსვენრობის მიზეზი სხვა რამ გარეშე მიზეზი უნდა იყოს და არა ის, რაშიაც დაურწმუნებინხართ თქვენ თქვენს გულ-შემაჯივართ. მაგრამ თაიბბრუნით ისიც თქვენს სი-

ტყვებს: „ჩემი ემიკო ხშირად სტირის და ქყვი-
სო“. ამ გარემოებაზე, თუ გახსოვთ, მესამე წერილ-
შიაც მივაქციე თქვენი ყურადღება და მოკლედ
განგიმარტეთ მიზეზი ამ მოვლენისა. ეხლა კი ვეც-
დები უფრო ვრცლად, უფრო დალაგებით გამოგე-
ლაპარაკოთ ამ საგანზე და დაგიმტკიცოთ, რომ
თქვენი ფიქრი ამ საგნის შესახებ და თქვენი შვი-
ლის გულ-შემატკივართა შეხედულება შეუესაბამოა,
უსათუძლო. გასაკვირველია, ღმერთმანი, რომ დე-
დების უმეტესობას ვერ წარმოუდგენია, რომ ბავ-
შვის ქყვილ-კივილი და ხან და ხან უმიზეზო ტი-
რილიც არ არის ბავშვისთვის მავნებელი; იგია
ლაპარაკი, ტიკტიკი ამ პაწაწინა არსებისა. ბავშვი
ტირილით მოველინება ხოლმე ქვეყანას და ამ ხმაუ-
რობით იგი სალამს აძლევს ბუნებას, თავის მეორე
დედას. ყვირილით იგი ჰხატავს თავის მოთხოვნი-
ლებას; იგი ქყვის ვარჯიშობისთვის; იგი ქყვის,
რადგანაც ჯერ არ შესჩვევია თავის არსებობის ახალ
პირობებს და ერთი სიტყვით ქყვილ-კივილით იგი
გამოჰხატავს თავის გრძნობებს. მაგრამ აქ ისიც ნუ
დაგავიწყდებათ, ქალბატონო, რომ, ამჟამის ბრძა-
ნებისა არ იყოს, ბავშვის ქყვილსა და კივილს და
ტირილსაც თავისი საკუთარი ნიშნები აქვს. რო-
დესაც ემიკოს შიან, იგი ისე არ იტირებს და არ
იქყვილებს, როგორც მაშინ, როდესაც იგი გასვრი-
ლია და ან სიყელ მჩვრებში წევს და არც ისე, რო-
დესაც იგი ავად არის, ან სტკივა რამე. მაშასადა-

მე, თუ ბავშვის ტირილი მდგარია და ხანგრძლივი: თუ იგი ვერა ღონისძიებით ვერ დაგიმშვიდებიათ: მაშინ კი უნდა დაფაცურდეთ უეჭველად: სულ პოლად გაატიტვლეთ იგი, მიშინჯ-მოშინჯეთ ყველა მისი სხეულის ნაწილი; თორემ აი რა შემთხვევას გვიამბობს ბატონი ამმონი თავის ნაწერებში*):

1) ერთი ძუძუმწოვარა ბავშვი მთელი დღე და ღამე სულ გაჰკიოდა, მარჯვენა მხარზედ დააწვენდნენ ხოლმე თუ არა; გაშინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას ქინძისთავი შერქობოდა და ამითი საცოდავი ასე იტანჯებოდა, 2) მეორე შემთხვევა კიდევ: ერთი ბავშვი ვერა გზით ვერ დაემშვიდებინათ, ვინემ არ გაშინჯეს და არ აღმოაჩინეს; რომ ერთს უღმერთო ძიძას სიბოროტით თითზედ თმის ბეწვი მოეჭირა ბავშვისთვის და ამ შემთხვევას კანის ანთება გამოეწვია და სხვა და სხვა.

ერთი სიტყვით, თუ ამგვარი არა არის-რა, თუ ბავშვს სიცხე არა აქვს, სურდო არა სკირს, არ ახველებს, მაშინ მიეცით ნება იქყივლ-იკივლო მან, ვიდრე მოეწყინებოდეს ამ პაწაწინა ბატონს, ოჯახის თაიგულს. ჭყივილი ბავშვს თავის დღეში ავად არ გაჰხდის, პირიქით, იგი ავარჯიშებს ფილტვებს, გლლის ფიცარს და მუცლის ნაწილებს; ჭყივილი ერთი მხრივ ხელს უწყობს ზოდრეობას,

*) Золотая книга, соч. Аммона. სტ. დედა და ბავშვი

ამით მაგრდება სხეულის ყოველივე ნაწილი და შინაგანი ორგანოები. საღს ბავშვს ქყივილი თავი დღეში (თიაქარს) (ГРЯЖА) არ გაუჩენს, რომლისაღ დედებს ძალიან ეშინიანთ ხოლმე. აქ ამასაც მოგავონებთ, რომ გადამეტებულ აღერსს და ლოლითაობას ბავშვის გაჩუმებაში აღგილი არ უნდა ჰქონდეს: ამითი ბავშვი მეტის-მეტი ნაზი და ურჩი ხდება. ლოლითაობამ არ უნდა დაჩრდილოს კეთილგონიერება თქვენი. რამდენიც წამოიზრდება ბავშვი, რამდენიც იგი თავის ხელებს მოძრაობაში მოიყვანს და გაერთობა ვარეშე ბუნების სხვა და სხვაობით, იმდენად ბავშვი ნაკლებად ქყივის მის ცხოვრებას სისრულე ეძლევა და თან-და-თაერკვევა იგი შთაბეჭდილების სხვა-და-სხვაობით ბავშვის ქყივილსა და კივილს, რომლითაც ევლინება ქვეყანას, პრეირის აზრით *), „ზნეობითი ხასიათი არ უნდა მიეცეთო და არც იმ გატაცებულ პოეტებსა და ფილოსოფოსებს უნდა და ვუჯეროთ, რომლებიც არწმუნებენ ქვეყანას, რომ ეს პაწაწინა არსება ქყივილში ჰხატავს სამღურავს ჩივის იგი იმისთვის, რომ მხოლოდ ტანჯვისთვის მოვევლინე მე ქვეყანასაო! თვით შესანიშნავი კანტიც კი ერთს თავის თხუზულებაში ამბობს, რომ ბავშვი თავის ქყივილში ჰხატავს წყევლას და კრულვას ქვეყნისადმი. ბ-ნი კომპერე კი ამბობს თავის

*) იხ. Душа ребенка. соч. Пнейна

თხზულებაში*), რომ, ახალ-დაბადებული ბავშვის ქყვილი წარმოსდგება მოძრაობის საზოგადო მოთხოვნებიდამაო; იგი ქყვილით ჰხატავს თავის არსებობას; იგი სიამოვნებას ჰპოულობს ამ ქვილიში და დაანებეთ თავი—იქყვილოს მან „ვინც დარი უდარის, გამოთქვას თავისებურად თავის გრძობა და სურვილებიო“. ბატონი ჟუკი***) უარყოფს ყველა ზემონათქვამს და ამბობს, რომ თავის დღეში უსუსური ბავშვი შიზიზოთ არც იტირებს და არც იქყვილებს, ან უნდა სტკიოდეს რამე, ან რაღაც უნდა აწუხებდესო. და ვინც ამის შესახებ სხვა ნაირად ჰფიქრობს, ის ძველი თეორიის მიმდევარი ბრძანდებაო. თუმცა კი თვით პატივცემული ჟუკის თხზულებიდან არა სჩანს, თუ რა მეცნიერულ გამოკვლევაზე აშენებს თავის შეხედულებას, თუ რა დაკვირვებანი ათქმევინებენ ამას, უამისოდ კი ყველაფერი დაუჯერებელია, საფუძველს მოკლებული. თორემ აი ჩემი დაკვირვება რას ამბობს ამის შესახებ: როდესაც ჩემი შვილი მერვე თვეში გადადგა—ერთს მშვენიერს ღღეს გამოიღვიძა; მიიხედ-მოიხედა, ჩვეულებრივ ყველაფერი აათვალიაათვალა, რაღაც წაილულლულა და მერე მოჰყვა საშინელ ღრიალსა და ტირილს. ჩვენ მივცვივ-

*) Умствен. и нравств. развитие ребенка, თხზ. გ. კომპერსი.

***) ...

...

დით მაშინვე და შევნიშნეთ, რომ იგი ცრემლით არა სტიროდა და მიზეზსაც მალე მივხვდით-იგი გაგვიწყრა, რომ ეს პაწაწინა ბატონი, რომელმაც ეს-ეს არის გაიღვიძა, როგორ გავბედეთ და მარტოკა დავტოვეთ: არ მივუალერსეთ მას, არ გამოველაპარაკეთ და თავისი საყვედური ტირილით გამოგვიხატა. ჩვენი მისვლა იყო მასთან და მისი მაშინათვე გაჩუმება. ყველა ეს, ქალბატონო ჩემო, თავმდება იმისი, რომ თქვენის ემიკოს ჭყვიღსა და ტირილს არ მისცეთ ის მნიშვნელობა, რა მნიშვნელობასაც აძლევენ ხოლმე ზოგიერთი მშობლები თავის შვილების საზიანოდ და საუბედუროდ; მაგრამ გადავიდეთ სხვა კითხვაზე.

მეორე კითხვა, რომლის განმარტებას ასე გულმოდგინეთ მახოვთ თქვენ—ეს ბავშვის ძალი გახლავთ. ძილი ბავშვს იფარავს სხვადასხვა ახალი გარემოებისაგან და თან-და-თანობით მისი შინაგანი ორგანოები მოჰყავს მოქმედებაში; ძილით ბავშვი უღონიერდება მუცლისა და მეტადრე სუნთქვის იარაღები. მაგრამ კითხვა იმაშია, თუ რამდენი ხანი უნდა იძინოს ბავშვმა, რომ სასურველი გავლენა იქონიოს ძილმა ბავშვზე? აქამომდე ბევრსა ჰგონია, რომ ბავშვს ხანგრძლივი ძილი სულმთლად დაასუსტებს და „გამოაჩერჩეტებს“ კიდევცაო. მაგრამ ყოვლად შემძლებელი ბუნება სულ სხვა რამეს გვეუბნება და ჩვენ ამ შემთხვევაში, როგორც სხვა შემთხვევაშია, არნა მიიღიოთ მას. 4-6

ვირის ბავშვი, როგორც შენიშნულია, უმეტეს
წილს თვის სიცოცხლისას ძილში ატარებს. იგი
უნდა ჰორიზონტალურად დააწვინოთ, ოდნავად
და ცოტათი თავი მაღლა დაადებინოთ. ასე მათ
ოსვენებითა სძინავთ. უნდა ვეცადნეთ, რომ ეს
უნებით მოთხოვნილება, როგორც ბავშვისთვის
ილია არაფრით არ დავარღვიოთ, რადგანაც
იგი ძალიან საჭიროა მისი ბუნებითი ძალის
კანვითარებისათვის-მისი ზრდისათვის და მისი
განმრთელობისათვის. აქ ერთი წესი უნდა
დავიცვათ უექვცლად: თავის-დღეში, თუ ბავშვს
რ ეძინება, ძალა არ უნდა დავატანოთ, რომ მან
დაიძინოს. მეტადრე არიდეთ, თუ ღმერთი გწამსთ,
ხვა-და-სხვა ძილის წამლებს, როგორც, მაგალითად
რიან: ხაშხაში, ყაყაჩოს წვენი და სხვანი, რომლი-
თაც რამდენი ბავშვი გაუსტუმრებიათ „წიაღსა შინა
ბრამისასა“; მოერიდებით აგრეთვეს ხვა-დასხვა სასუ-
ლებელ წამლებსაც, რომლებიც ბავშვს თავბრუს
სხამენ და მთლად ასნეულებენ მათ. უმთავრესი პი-
რობა ძილისა, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ქალ-
ატონო, იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი არ უნდა
დავაწვინოთ ღოგინში ძალად, თუ იგი ძილისთვის
რ არის მომზადებული და ეს პირობა მაშინაც კი
რ უნდა დავარღვიოთ, თუ გინდაც იგი საათობით
დაჩვეულია ძილს; მეტადრე თქვენი ემიკო, თუ თამა-
ლობაში გართულია, თუ იგი სულ იცინის, ხარხარობს,
სიცილს ბიძნიერად იტყობს თავის თავსა არ იძი-

ება და არცა სცალიან მას ძილისთვის; მიეცით ას ამ შემთხვევაში თავისუფლება: დეე, ილხინოს, ოკლას ჟინი მხიარულებაში. დარწმუნდით, ქალათონო, რომ თქვენს ემიკოს ეს სიხარული და ართობა უფრო სარგებლობას მოუტანს; ამით ართული და დაქანცული უფრო კარგად დაიძიებს და გვარიანად დაასვენებს თავის პაწაწინა ორგანებს, კმაყოფილების დარღვევა კი აწყენინებს მას, ატირებს, აუმღვრევს სისხლსა. როგორც ეს არის აწებელი, ისე ისიც, როდესაც ბავშვს ძილის შემდეგ ბევრ-ხან ამყოფებენ ხოლმე საწოლში... გაივიძოს თუ არა ემიკომ, ცოტა ხანს დააცადეთ, რომ იიხედ-მოიხედოს, დაუყვავეთ, მიუალერსეთ, გახინჯეთ კარგად სველი ან გასვრილი არ იყოს, დაბანეთ ცივ წყლით ხელ-პირი, ჩააცვით ამიდის შესაფერი ტანისამოსი და გაიყვანეთ სასეინოთ, თუ ამინდი ხელს გიწყობს და სხ. და იქვენ, რომ უფრო დარწმუნდეთ, მოწყალეო ელმწიფევ, ნათქვამის საფუძლიანობაში, მე აქ ოგოყვანთ სხვების აზრსაც საგნის განსაზღვრებლად და დასასაბუთებლად.

აი, რას ამბობს თვის შესანიშნავ აზრსაში *) ბ-ნი ჟუკი: „ჩვენ დაჩვეული ვართ, ძილი დასასვენებელ საშუალებად წარმოვიდგინოთ ხოლმე კარჯისა და შრომის შემდეგ. მაგრამ ეს არის გა-

*) Жуль—Мать и дитя.

დასაწყვეტი, თუ ბავშვს რაღა სძინავს ხოლმე მაგ-
დენი ხანი, როდესაც იგი არც მუშაობაშია და
არც გარჯაში? სწორედ ეს არის ჩვენი შეცდომა,
რომ მუშაობას ჩვენ მხოლოდ ფიზიკურად გარ-
ჯასა და გონებით მუშაობას ვეძებთ და აქ გვა-
ვიწყდება, რომ იმისთანა ცხოვრებითი პროცესები,
როგორიც მაგ. ზრდა არის, კვება, სუნთქვა, სის-
ხლის დენაა—ესენი წარმოებენ საშინელის სის-
წრაფით და ჰალავენ ბავშვს და, მაშასადამე, ეს
პაწაწინა ჯაფის კაცი საჭიროებს დასვენებას და ეს
დასვენება ძილში გამოიხატება. რამდენიც ბევრი
სძინავს ბავშვს, იმდენად შესამჩნევად ნელდება მი-
სი ცხოვრებითი პროცესები. იგი არ უნდა დავა-
ძინოთ ძალად და მით უმეტეს არ უნდა გავაღვი-
ძოთ ძალად. თუ მის გაღვიძებას რაიმე უკიდუ-
რესი საჭიროება მოითხოვს, უეცრივ არ უნდა გა-
აღვიძოთ, რადგანაც შეიძლება გულის ფრიალი
დამართოს და სახე გაუწითლდეს, ან შეიძლება
შეშინდეს კიდევ; ამ შეთხვევაში ჯერ ნელა უნდა
ელაპარაკო, ხელზე უცაცუნო, პირი-სახეზედაც,
ილაპარაკო ხმა-მალლა და ამ გვარად გააღვიძო
იგი.! ამავე აზრისაა ბ-ნი პრეირიც *) და სამარ-
თლიანადაც შეკნიშნავს, რომ 24 საათის მუშაობა
სუნთქვის იარაღებისა—უდიდესი წყაროა ბავშვის
დაღალვისაო და დიდი ყურადღება უნდა მიექცეს

*) Прейеръ—Душа ребенка.

ამ შესანიშნავ მოვლენასაო. ასე, ჩემო ბატონო, თუ გინდათ, რომ თქვენ ემიკოს ეძინოს კარგად და თქვენც მოსვენებით ბრძანდებოდეთ, უეჭველად ეს საჭირო პირობები უნდა ასრულებათში მოიყვანოთ თქვენ: 1) ემიკოს ძილის დროს ძალიან მალლა არ უნდა ედვას თავი, ტანი ჰორიზონტალურად უნდა ქონდეს—უამისოდ სისხლი აწვება ტვინს და ემიკო მოუსვენრობას იგრძნობს, ხან-და-ხან ძილში წამოიყვირებს კიდევ; მალლა თავის დადებით ბავშვს სუნთქვა უსუსტება, ტვინს საკმაო სისხლი არ მიუდის და ყოველივე ხმაურობა ბავშვის ძილში და მეტადრე ხვრანვა ნიშანია მისი ცუდად წოლისა; 2) ერთსა და იმავე მხარეზედ ბავშვის წოლა მავნებელია, რადგანაც იგი ამითი იღლება და თვითონვე იწყებს გორაობას და თუ თვითონ არ გადაგორდა, თქვენ უნდა გადააწვინოთ მეორე მხარეზედ. 3) არც მუცელზე წოლაა კარგი, რადგანაც ბავშვს სუნთქვა უძნელდება; 4) გადამეტებულს ბრახუნს და ყვირილს, როდესაც ბავშვსა სძინავს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს—მაგრამ ეს გარემოება უკიდურესობამდის არ უნდა მივიყვანოთ, რადგანაც ასე სიწყნარეში დაჩვეულ ბავშვს მოსვენებით არა სძინავს ხოლმე, მეტადრე ქალაქებში; 5) ბავშვი ძალად არ უნდა დააძინოთ და უდროვოდ არ გააღვიძოთ; 6) ძილის დროს ბავშვს პირში ძუძუ არ უნდა ეჩაროს, რადგანაც პირში რძე ხაჭკოვდება და მჟავდება, რასაც ცუდი გავლენა აქვს ბავშვის ჯანმრთელობაზეო და სხია და სხია.

დასასრულ თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო, ქალბატონო ჩემო, ერთს გარემოებასაც. ხშირად შეშინიშნავს, რომ ძუძუთა ბავშვებს სძინავთ ხოლმე დედასთან ერთად ერთს ლოგინში, მაგრამ კითხვა იმაშია—სასარგებლოა თუ არა ეს ჩვეულება? „დედის სხეულის სითბო, თუ დედა სრულიად სელია, აზზოზს ამმონი, *) უფრო სასარგებლოა, ვინემ ბავშვის გაფუთქვნა საბნებითა და რაღაც წასახურავეებითა,“ მაგრამ აქ მე ერთი რამესი მეშინიან და ამისთვის ვერ გირჩევთ, რომ ღამე ბავშვი თქვენთან იყოლიოთ ხოლმე ლოგინში; ეს ისაა, რომ შენთხვევა ყოფილა დედა დასწოლია თავის შვილს და გაუქყლეტა ლოგინში. თუ დედა ფხიზელია, თუ მას არაფერი სტკივა და ჯამრთელია, ერთი სიტყვით, თუ მას თავის თავის იმედი აქვს.—მაშინ უვნებლად შეუძლიან მიჰმართოს ამ საშუალებას.

უეჭველია, თქვენთვის საინტერესო იქნება ამ კითხვის განმარტებაც, თუ რაში ჩავაწვინოთ ხოლმე უსუსური ბავშვი? თუ რა ღონისძიებას მივმართოთ, რომ იგი სუფთად იწვეს, ზალი-ზალ ლოგინს არ ახდენდეს და მითი მას ვნება არ მოსდიოდეს? ამის შესახებ ბევრსა ჰფიქრობენ მეცნიერნი, ბევრსა სჯიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით თვალსაჩინო დასკვნამდის არ მისულან. ამისთვის არის, რომ

*) Золотая книжка—Аммона.

ჯერ-ჯერობით ბურთი და მოედანი ისევ იმ პაწაწინა თელიან ეტლებსა რჩებათ, რომელშიაც ჩააწვენენ ხოლმე ბავშვს და აქეთ-იქით აგორავებენ; არც რუსული აკვანია ჩვენში ჩამორჩენილი, ჩვენს მამა-პაპურ აკვანს ხომ დიდი ადგილი აქვს ბავშვებისთვის დათმობილი. თუ რომელი სჯობია ამათ შორის, ან რომელს დაუეთმოთ პირველობა—ამის გადაწყვეტა შეუძლებელი საქმეა, რადგანაც ყველა მათგანს ბევრი ნაკლულევაება და კაი მხარეებიც აქვს, თუმცა ზოგი ერთა ექიმები ჰიგიენის მხრივ ჩვენებურ აკვანს ყველა სხვაზე უპირატესობას აძლევენ; მართლაც და ეს აკვანი რომ არ ირწეოდეს, ამაში არტახებით არ იბოჭებოდეს ბავშვი, მოძრაობის თავისუფლება არ ერთმეოდეს მას, იგი ერთი უპირველესი იქნებოდა თუმცა კი ახლა, ვინემ უკეთესი არა გვაქვს-რა, ისევ სხვებს, უფრო განათლებულებს უნდა მივბაძოთ, ე. ი. შევახვიოთ ხოლმე განგებ ბავშვებისთვის გამოჭრილ ჩირებში და დავაგდოთ ხოლმე ჩვენ მამა-პაპურ ტახტზე; თუმცა პირველად ბევრი ჯაფა დასჭირდება დედას: ჩირების გამოცვლა-რეცხვაში, ბავშვის შეხვევა-გახსნაში, მაგრამ სადაც ბავშვისამდი სიყვარული ასულდგმულებს ვისმე-განა სიტყვა „ჯაფას“ ადგილი ექმნება სადმე? მაგრამ, უეჭველია, შემნიშნავთ თქვენ, რომ ამ გვარად მწოლარე ბავშვს ვეღარ დავატკობთ ჩვენებური „ნანინათიო“. და განა რად უნდა ან შემთხვევისთვის თქვენს ემიკოს „ნანა“, როდესაც

იგი უამისოდაც კარგად დაიძინებს, როდესაც საღი ხავეშია, კარგად მოისვენებს ეს სახლის მეფე, თუ ჰყუდროება არაფრით დაურღვივთ, არაფრით არ გაჰოარკვიეთ იგი ძილიდან. მაინცა და მაინც უმღერეთ იგი ნანა სხვა დროს, ჩაუხმატკბილეთ ეს მშვენიერი მცლოდიური ხმა, ნელ-ნელა ამ ნაზი ხმოთ აუნთეთ სიყვარული გარეშე მყოფთა, მომავალში ძუძუსთან ერთად „შეიყვაროს და შეიტკბოს სამშობლო მხარე“—ეს უმთავრესი და მომავალი დედა შენი შეილისა.—საზოგადოდ პატარას ძალიან უყვარს მუსიკა და თქვენ დედობრივ გრძნობასთან ერთად მისთავაზეთ ეს სიამოვნებაც, ბატონო ჩემო.

წერილი მახუთა.

მე ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, ქალბატონო ჩემო, თქვენი უკანასკნელი წერილით, საიდანაც შევიტყე, რომ ეხლა თქვენი ემიკო კარგად არის, აღარაფერს იტკივებს და „მხიარულად გვატარებინებს დროსაო“. წარმოდგენილია ეხლა თქვენი დამშვიდებული სახე, თქვენი დაწყნარებული გული, ახლა ბიჭუნა კარგათა გყავთ და თქვენც, უეჭველია კარგადა გრძნობთ თქვენ თავს, გული საგულეში გაქვთ და აღარ იტანჯებით თქვენი შეილის ამონაკუნესით, როგორც ამას წინათ „გულ-ამოსკენით“ მიამბობდით მის ავადმყოფობას. ეხლა თქვენი ემი-

ლულლუდებს, გაფაციცებით აკვირდება ყველა ფერს და ყველა შინაურები ალტაცებაში მოჰყავს მის კასკასსა და მოძრაობას! მართლ რომ ბედნიერი დრო დაგდგომიათ და კარ გადაც უნდა ისარგებლოთ ამ ბედნიერი შე მთხვევით: უნდა გააძლიეროთ უფრო თქვენ ი ყურადღება, ნუ მოაკლებთ მაგას თქვენ დაკვირვებას, თქვენს ზრუნვასა და მოვლასა, თორემ უამისოდ თქვენ დიდს შეცდომაში შეხვალთ და ერთი თვალ-საჩინო შეცდომა კიდევ აღმოვაჩინე თქვენს წერილში. „ემიკო ეხლა კარგად მყავს და ამისთვის ბანაობა მეტად მიმაჩნია“, იწერებით თქვენ და ეს თქვენი სიტყვები დიდს შეცდომად მიმაჩნია. ნუ თუ თქვენ, ქალბატონო ჩემო, ვერ მიმხედარხათ, რომ ბავშვი დაბადების დღიდანვე საჭიროობს საბანელს და ეს ბანაობა უნდა კარგა-ხნობამდის გრძელდებოდეს კიდევ. ბანაობა აშორებს ბავშვს ხოკოიანს ქერცლს, რომელიც კანის ქონისაგან შესდევება; იგი აერთებს ახალ-მოვლენილ არსებას ახალ-პირობებთან, ჰკურნავს იგი მრავალი სენისაგან, ამხნეებს მას, უმატებს ძალას, უძლიერებს მანდას და კარგ ძილსაც ხელს-უწყობს ხოლმე. მაგრამ აქ საქმე იმაშია, თუ რა წესები უნდა დავიცვათ ამ საქმეში? რა დროს ვაბანავთ ბავშვი? როგორ წყალში? საბანელში, ბატონო ჩემო, წყალი ცხელი არ უნდა იყოს და არც თუ ცივი და ორივეს შესატყობლად საჭიროა იხმაროთ

ხოლმე თერმომეტრი, რომელიც ეხლა ადვილი მოსაპოვებელია და ადვილად სახმარებელიც. წყალსაბანელში არ უნდა აღემატებოდეს 28° ; მეტის-მეტე ცხელი წყალისაგან ბავშვი ადვილად და მალე ცივდება, სურდო ჰხვდება, ხან-და-ხან მთელს ტანზედ ნასიცხსაც გამოაყრის ხოლმე და არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც ბავშვი კიდევ იკრუნჩხება ამ ცხელის წყლისაგან. ექიმების აზრით, კარგი რომ ბავშვი დილით შევაჩვიოთ ბანაობას და საღამოთი კი ასე ზერეულად დაგბანოთ ხოლმე, რადგანაც ამ გვარი ბანაობითაც ბავშვი კარგად იძინებს. მაგრამ ამასაც ნუ დაივიწყებთ, ქაობატონო ჩემო, რომ ისეთი ბავშვებიც მოიპოვებიან, რომელთაც არ უყვართ ბანაობა და მათზედ ცუდათაც მოქმედობს იგი: ამათ მალი-მალ უცივდებათ ლორწოიანი ნაწილი ცხვირისა და ძალიან ხშირად ემართებათ ხოლმე სურდო. ესენი კვირაში მხოლოდ 1-2 ჯერ უნდა დაბანოთ ხოლმე და ისიც ძალიან მოკლე ხნით ასე 5 წუთით. უკიდურეს შემთხვევაში თბილი წყლით დაბანეთ ხოლმე დილით და საღამოთი.

აქ უფრო საყურადღებოდ მიმაჩნია ბავშვების თავის ბანა დამისი კანის გასუფთავება. ბავშვის თავდაუბანელობამ იცის ხოლმე, რომ შუბლსა და კეფაზედ და ხან-და-ხან მთელ თავზედაც დააყრის ხოლმე ჩირქიან მუწუკებს და ეს მუწუკები აბრკოლებენ თმის ამოსიგოას და კანის აღმორთვიოას. მათ უყოფილი-

ოდ დატოვებამ შეიძლება ეს სენი ავ-ზნიან მუწუ-
ქებადც გარდააქციოს. და ყოველ ამის ასაცდენად
ი ეს საშუალება იხმარეთ ხოლმე *): დასარბილე-
ლად მუწუკებისა წაუსვით ბავშვს ზეთუნის-ზეთი,
ან გლიცერინი და ან კვერცხის ცილა, წასმული
თავი უნდა ტილოთი დაუფაროთ და ერთი საათის
მემდეგ დაბანოთ თავი კარგი საპნით. ეს უნდა
კანმეორდეს, ვინემ ბავშვი არ განთავისუფლდება
ამისგან.

შნაღესა ბანაობასა:**) ბავშვი გაახვიეთ თივ-
თიკის წმინდა შალში, ან ხაოიან ბამბის ნაქსოვ
ზეწარში (ტილოსი ცუდია, რადგან მალე ნელდება),
ჩააწვინეთ საბანელში ისე, რომ თავი ცოტა აწეუ-
ლი ჰქონდეს, რომ თვალებს წყალი არ მოჰხვდეს
და ყურებში არ ჩაუვიდეს; დანარჩენი ნაწილები
კი სხეულისა უნდა სრულიად დაფარული იყვეს
წყლით, რადგანაც ცალ-ცალკე ყოველი ნაწილი
ადვილად ნელდება და ბავშვი ხშირად ცივდება.
ერთი სიტყვით საბანელში წყალი იმდენი უნდა
იყოს, რომ მასში დაიმალოს ბავშვის მუცელი,
ფეხები, ქოჩორი და ყელი, მხოლოდ პირი სახე
უნდა იყოს უწყლოდ. თავზედ კი ხამუშ-ხამუშ

*) იხ. *Мать и дитя Жука* და *золотая книжка Ам-
мона*.

**) *Мать и дитя Жука* და *вскармлив. дѣтей въ
первый годъ жизни*.

უნდა თბილი წყალი ესხმოდეს. საბანელში პირველად ფეხები უნდა ჩაუყოთ და ნელ-ნელა მერე ქთელი ტანი; მერე ზეწარი მოაშორეთ თავიდან; ამოასველეთ წყალში და ისევ დაათარეთ თავზედ. ამ საზოგადო ბანაობის გარდა, არ დაგავიწყდეთ ზოგიერთ ადგილების გაბანვაც, მაგ. ილიებისა, წვივებისა, საჯდომისა, სასქესო ორგანოებისა და სხვა. ყოველ დაბანვას თვალები უნდა იწმინდებოდეს, ან ღრუბლითა ან წყალში დასველებულ სუფთა-ნაკუწით. ბანაობა უნდა გრძელდებოდეს არა უმეტეს 15 წამისა. ამის შემდეგ ამოიყვანეთ ბავში საბანელიდან და თბილ და მშრალ ზეწარში შეახვიეთ, დაწვინეთ ბალიშზედ და დაუწყეთ მშრალება, მერე ჩააცვით მშრალი პერანგი და რამდენიმე ხნის შემდეგ მიეცით ძუძუ. ბავშვს ამის შემდეგ მშვენივრად ჩაეძინება.

მეორე კითხვას, რომლის განმარტებასაც ასე გულითა მთხოვთ ოქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, სრული კავშირი აქვს ზემორე განმარტებულ კითხვასთან და მეტის-მეტად საინტერესო კითხვადაც მიმაჩნია ეს კითხვა. „საჭიროა თუ არა, ბავში განძრახ შევაჩვიოთ სიცივეს და მისგან წარმოდგარ სასტიკ პირობებს, რომ მისგან „კაჟივით ბიჭი, ყველაფრის ამტანი ვაჟკაცი გამოვიდესო“, როგორც ოქვენ იწერებდით. ამ საგნის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, ბევრი რამ თქმულა, მაგრამ საგანი ისევ გამოუჩინებელი რარჩინიოა. და-

დაუწყვეტელი; თუმცა კი ერთმა თხზულებამ, რომელიც ეხლახან გამოვიდა და რომელიც სასიქადულო ნაწარმოებად გამოაცხადა კრიტიკამ, ბევრი ნათელი მოჰქვინა ამ თქვენს საკითხს და თამაზად გირჩევთ, ქალბატონო, მის წაკითხვას. ამ თხზულებასა ჰქვია: „ფიზიკურა და ზნეობრივი აღზრდა ბავშვისა“ და ეკუთვნის შვეიცარელ პედაგოგს მორიც ფლერისს *) და ვინემ ამ წიგნს მოიპოვებდეთ, ნება მომეცით გაგიზიაროთ მისი შეხედულება ამ საგნის შესახებ, რომელიც ასე ძალიან ვაინტერესებთ თქვენ. აი რასა ბრძანებს ეს პატივცემული ავტორი. „საჭიროა თუ არა, რომ ბავშვი განძრახ შევაჩვიოთ სიცივეს? საჭიროა თუ არა, რომ ჩვენი ბავშვები, როგორც ზამთარში, ისე სიცხე პაპანაქებაში ვატაროთ ხოლმე გადაღლილი ყელით და ფეხშიშველა, როგორც ამას შოტლანდიელები სჩადიან ხოლმე? საჭიროა თუ არა წელიწადის ყოველ დროსა და ჟამსა ბავშვი ამოვავლოთ ცივ-წყალში, როგორც ინგლისელები სჩადიან ხოლმე? მე არ მახსოვს კითხვა, რომლის შესახებაც ასე სწვა და სხვანაირად სჯიდნენ, როგორც ამ საგნის შესახებ სჯიან გიგიენისტებიც და დედებიც, ბრძანებს ფლერი.

ერთმა რუსმა მანდილოსანმა, რომელთანაც

*) Физическое и нравствен. воспитание ребенка
Морица Флерп.

მ საგანზე მქონდა სჯა და ბაასი, მიაშობ, რომ
ენევის ტბის ნაპირას ქრისტეშობის თვეში ვატეხი-
ებლი ხოლმე ყინულს, რომ ჩემი ოთხი ბავშვით,
ომლიდანაც ერთი ძუძუთა ბავშვიც იყო, მებანა-
ა ამ ყინულიან წყალშო. რომ ამგვარ საქციელს
ისულელე დავარქვა, ესეც არ შემძლიან, რადგა-
აც ეს მანდილოანი აკვნიდანვე სისტემატიურად
ჩვევდა ბავშვებს ამგვარ სიცოცხეს, მაგრამ ჩვენს
შიშარა დედებს ვერ ვურჩევ—ამ მაგალითს მისდი-
თ მეთქი, რადგანაც ჭეშმარიტი კეთილ-გონიე-
ება საშუალო გზას დაადგებოდა. რასაკვი-
რველია, უკულმართობა იქნებოდა ერთი მხრივ
ავშვებს არ ვიფარავდეთ სიცოცხისაგან, მაგრამ მე-
არე მხრივ კი აღზრდა ბავშვისა ფუფუნებაში და
აზად, ან როგორც იტყვიან. ხოლმე ბაქბაში აღზ-
რდა დიდ შეცდომად და ცოდვადაც უნდა ჩავთვა-
როთ.

მაგრამ ვეცადოთ, რომ ერთმანეთისა გავი-
ოთ რამე: ჩვენ თვალ-წინ გვეხატება სურათი ეს-
ს არის ახლად დაბადებულ უმწეო, სუსტ და უნუ-
ემო ბავშვისა, რომელზედაც უბრალო სიცოცხეც
ი მოქმედობს და ათრთოლებს ამ საცოდავ არსე-
ას, კრუხივით ფრთებ ქვეშ უნდა ჩავათბუნოთ
გი, რომ მისი სიცოცხლე უზრუნველ ვყოთ და
სეთი ზრუნვა ამისთანა ბავშვის შესახებ ბევრ ხა-
იც უნდა გრჩელდებოდეს. მაგრამ თუ კითხვა
იხიბა საოს ბაშის. საოი აგიზოოობისას. მაშინ ი

ხატოპაც არ უნდა მივმართოთ ხოლმე ამ სასტიკ საგრამ ძარღვების საუკეთესო გასამაგრებელ საშუალებას, როგორც არის სიცივე.

მაგრამ მაინცა და მაინც დაუგდოთ ყური იმ რას ამბობს ამის გამო ერთი ინგლისელი თაკის პატარა თხზულებაში „აღზრდაზე“*). იგი სჭექქ და ჰქუხს ფეხ-შიშველა ტარების მოდის წინააღმდეგ.

აი რას ამბობს ეს შესანიშნავი კაცი: ძალიან აშირად გაიგონებთ ამისთანა აზრს, რომ სხეულისადამიანისა პირველადვე უნდა შევაჩვიოთ ყველა ჯურის ატანასაო; მაგრამ ამით ეს კი ავიწყდებათ რომ ბევრი ხდება მსხვერპლად ამ ჩვეულებისა და თუ ვინმე რაიმე შემთხვევით გადურჩება ამ ჩვეულების ბრძკალებს—ესენიც თავის თავზე ვამოსცდიან ხოლმე ამ აღრზდის სისტემის უვარგისობას ამას ამტკიცებს იმათი უძლური შეხედულობა, მათი ავადმყოფობა და მუდმივ აშლილობა ნერვებისა ეს გარემოება ძალიან უნდა აფიჭრებდეს ჩვენ დაუდევარ მშობლებს და ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდნენ მითი. მდიდრები, დაინახავენ თუ არა სოფლის ნახევარ ტიტლიკანა ბიჭებს და ფეხ-შიშველა ფეხით მოთამაშებებს წმინდაჰაერზედ, გაკვირვებულნი ხდებიან მათი სისაღით და გაიძახიან

*) გურბერტ სპენსერზე ლაპარაკობს პატრიცემული ავტორი.

რომ ეს მათი სისაღე სუმბუქი ტანისამოსის ბრალიაო. ამასთანავე ეს კი ავიწყდებათ, რომ ეს ბავშვები: რომლებიც დარბიან და დახტიან სოფლის მოვდა-წზედ, მთელი დღე სუნთქავენ წმინდა ჰაერს, აულ მუდამ მოძრაობაში არიან და მათი ძარღვე-ბის სისტემა არა ზიანდება ტვინის მუშაობითა. მათი სუმბუქი ტანისამოსი კი არ არის წყარო სისაღი-ა, თვით ესენი უამასოდაც ძალიან საღები არიან.

სპენსერს მოჰყავს მაგალითად: კუნძული შოტ-ლანდიის პატარა ჯიშის ცხენები, რომლებიც სცხო-ვრობენ უფრო ცივ ჰაერზედ, ვინემ სამხრეთ ინგლისის ცხენები, მაგრამ ესენი ისეთი პატარებ-არიან, რომ მათ ჯუჯა ცხენებს უწოდებენ; აგრე-თვე ითქმის ჩრდილო-შოტლანდიის ცხვრების შესა-ხებაც: ესენიც უფრო პატარა ტანისანი არიან; ვინემ ინგლისური ცხვრები; ლაპლადელები, ესკი-მოსები და „ცეცხლის მიწის“ მკხოვრებლები, რომლებიც მიუხედავად მკაცრი სიცოვისა ტიტვლი-კანები დადიან, დარვინის აღწერილობით ისეთი მახინჯები, დაღმეჯილები არიან რომ ვერავენ დაიჯერებს, რომ, ესენი „ჩვენი მგზავსები იყვენ.“

აი რა აზრისაა ინგლისელთა აზროვნების მამათ-მთავარი შესახებ ამ ფრიად-გავრცელებული ჩვეუ-ლებისა. ეხლა ის გამოვარკვიოთ—იქნება სპენსერი ეკუთვნის იმ ნეცნიერთა ჯგუფს, რომელიც ძალიან უფროთხის სიცოვეს და კაბინეთის გარეშე ცხვირს არ დამოჰყოთინ ხოლომი იქნება ის შიში სიცივისა

ამითია გამოწვეული, რომ თვითონ სპენსერი პერძნობიარე ადამიანია? მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამ აზრის მიმდევარნი სხვებიც ბევრნი არიან: სტატისტიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იანვარში იხოცება ბევრჯელ უფრო პეტი ყმაწვილი, ვინემ მკათათვეში; საქანლის მომშენებელნი, რომლებმაც იციან, რომ სიცივე აგვიანებს საქონლის გაშენებას და ამცირებს მათ რიცხვსა და სხვა-და-სხვა.

აი ასეთი შეხედულობისანი არიან, მოწყალეო ხელმწიფევე, აღნიშნული მეცნიერი კაცები და, უეჭველია, მარჯვედ ისარგებლებთ მათი აზრებითა. მხოლოდ ამასა გთხოვთ გადაჭარბებულს ნურას შეუტრევთ თქვენი შვილის აღზრდის სისტემაში; ნურც გაგიტაცებენ აღნიშნული რუსის მანდილოსნები და სხვები ბევრნი იმისი მზგავსნი, რომლებიც გატაცებით ქადაგებენ,— ბავშვები მივაჩვიოთ სიცივე ა და მის სასტიკ პირობებს და არც იმათი დაიჯეროთ რამე, რომლებიც ურჩევენ ბავშვების ფუფუნებაში გაზრდას. თქვენ საშუალო გზას დააოქეით და თვით ბუნება გიხელმძღვანელებთ ამაში. წელიწადს ოთხი დრო აქვს და ოთხივე სხვა-და-სხვანაირად განაწილებული და სხვა-და-სხვანაირად შემკობილი— თქვენი აღზრდაც ჰრმონიულად შეუფარდეთ სწორედ ამ წელიწადის დროს: გაზაფხულზე მოიქეცით გაზაფხულსავით—ააყვავეთ და დაამშვენეთ თქვენი ემიკო გაზაფხულის ყვავილივით,

შეუკერეთ მას ამ დროის ტანსაცმელი, არცა სციოდეს და არცა სცხელოდეს; ზაფხულში გაფრთხილდით, რომ სიცივემ არ დააქკნოს და არ გაახმოლთქვენნი „მცენარე“, მორწყეთ იგი და მოუარეთ მას ეცადენით, რომ შემოდგომამაც თავისი ხილ-ხულით არ დააზიანოს მისი აგებულება და ზამთარმა არ დააძროს იგი უდროვოდ და არ დააზიანოს. ეგ თქვენი პატარა თაიგული, ეგ მზე და მცენარე ჩვენს პომავლისა.

წერილი მეექვსე.

თქვენი გადაგიწყვეტიათ, ბატონო ჩემო, რონაკ შეიძლება მომეტებული ხანი ამყოფოთ ხოლმე თქვენი ემიკო წმინდა ჰაერზე. ძალიან მოსაწონი განძრახვაა. სარგებლობა წმინდა ჰაერით ცხვირ-ჩუბითი მოთხოვნილებაა ბავშვის ზრდისა და არსებობისთვის; სეირნობა იმის გარდა რომ კარგად მოქედობს მის ჯანმრთელობაზე, აგრეთვე ბავშვები უჩვევიან დაკვირვებასა, შორს-მხედველობას; თვალები ბავშვისა, რომლებიც აქამომდის ბეცად გაქოიციკირებოდნენ, თავისუფლდებიან ამ სენისაგან და მარჯვედ აჩვევენ დიდ მანძილზე გაარჩიონ მომორებული საგნები. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მხედველობას რამდენიმე დღის განმავლობაში ეძლევა ხოლმე ძალა და ღონიერდება. ესეც პინიშნულია. რომ რამდინია ბაიშიი უკითხილია

კაარჩევს მოშორებულ საგნებს, იმდენად იგი კარგ კუნებაზე დგება, რასაც გამოჰხატავს ხოლმე სხვადასხვა მოძრაობითა, ხარხართა და ლულლულითა. ბავშვი უფრო არის დაშოკიდებული კარგსა და ცუდ ჰაერის გავლენაზე, ვინემ დიდი ადამიანი. ჰაერიც, ისე როგორც საჭმელი, ხშირად ხდება ხოლმე მიზეზად ბავშვის ავადმყოფობისა და ისე არაფერი ამაგრებს ბავშვის სხეულს, როგორც მისი ყოფნა წმინდა ჰაერზე. ამისთვისაც უნდა ვცდილობდეთ, რომ ბავშვი ხანგრძლივ არა რჩებოდეს უჰაეროდ და ყოველ დღე გავასეირნოთ ხოლმე ქუჩაში. ამ სეირნობის დროს მას სმენაც ეხსნება: იგი თავისუფლად იცნობს თავისიანების ხმას; ესმის საათის „ძინ-ძინ“, ზარების წკარა-წკური და საკრავების ხმა, იგი ყურადღებას აქცევს ყველა იმას, და თხოულობს, რომ იგი აქითკენ წაიყვანონ, საიდგანაც ხმა ესმის. დიდი და უსიამოვნო ხმაურობა აწინებს მას; ნაზი ხმა კი უაღერსებს, ულოლიავენს მის გრძნობებს და კარგად მოჰმედობს მის ჯერედ გაუფუხრელ ტვანზე *). ასე, ბატონო ჩემო, სეირნო-

*) დაკვირვება: ამ ერთი თვის წინად ჩემი შვილის პაწაწა გამდელმა უეცრივ შეჰყვირა და ჩემს შვილს ისე ძალიან შეეშინდა, რომ გაფითრებული მოჰყვა ხანგრძლივ ტირილს და გაჩუმდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორე ოთახში ნაზი ტკბილი სიმღერა გაიგონა: თვითონ აღულუნდა, გადიყარ სახილამ ღრუბლები, მოჰყვა ტაშის კვრას და მოინდომა გ.ს. სულა „ქ, საადნაც ისმოდა სიმღერის ხმა. ალ. ნათაძე.

ხას დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი ემიკოსათვის და ნუ დაიზარებთ ხშირ-ხშირად ასეირნოთ ხოლმე იგი, მაგრამ ერთსა გთხოვ: ჯერ თვით თქვენ წადით და დაათვალიერეთ ის ადგილები, სადაც სიარულით გაემგზავრებიან ხოლმე გამდლები. აქ თქვენ ბევრს რასმე ცუდსა ჰნახავთ. მე ჩემი თვალთ მინახავს რაც ამბები ხდება ამ სასეირნო ადგილებში და მიხარია, რომ ღარიბი მშობლების ხავშეები მორიდებულნი არიან ყველა იმ საძაგლო-ხას, რაც იქ ხდება. აი რასა ბრძანებს ერნესტ ბემე ამ საგნის შესახებ: „ვთქვათ თქვენი პატარა სულდგმული გამდლის მფარველობის ჰვემ წაბრძანდა ასეირნოდ. ყმაწვილს მზე პირდაპირ თვალებში შესცქერებია; ხან-და-ხან გაქცევ-გამოქცევაც უნდა, საყმაწვილო ეტლში ფართხალებს, მაგრამ ვის შესტკივა მისთვის გული, გამდლებს ეჯავრებათ ამათი ტარება, რადგან ფეხით რომ ვატაროთ, ამათ ყურის გდება უნდაო, რომ არ წაიქცეს და ან ტანისამოსი არ გაისვაროსო. ზის ყმაწვილი ეტლში და გული ეთუთქება მარტოობით. აი საჩირკველი იმ სენისა, რომელიც ხშირად ეწვევა ხოლმე ზოგიერთ ყმაწვილს! სახელი სიყმაწვილის ამ საშინელი მტერისა არის მოწყენა.

ბავშვი სწუხს, სტირის, ეძებს გამდელს, მაგრამ სად არის გამდელი?! ის დობილებშია გართული, და თუ გამოჩნდა, კარგ-კარგებსაც შეუკურნებს და დაყვავების მაგიერ ლაზათიან სილოებსაც

აკმეცს; ზოზრდილი ბავშვები ხომ გინების გულათ
გადაიქცევიან და შინ მისვლისთანავე ზოხსნიან პირს
და გინებას კენჭებივით ისვრიან. შშობლებლეს კი
უკვირთ და ამბობენ: თითქო სახლში გინებას არა-
ვინ აგონებს და საიდან ითვისებენ, თუ ბუნებრი-
ვი მიდრეკილება არა. აქვთო?...

არიან მეორე ჯურის გამდლები; ბავშვი რო-
სტირის, ესენი აშინებენ ხოლმე სხვა-და-სხვა სა-
ხელების დაძახებით, მაგ: „მოვიდა ბუა“; „მგე-
ლო, მოდი წაიყვანე შალიკო“ და სხვანი. ეს მეო-
რე ჯურის გამდლები პირველებზე, ათასჯერ უფ-
რო მავნებლები არიან თქვენი ბავშვებისთვის და
ამიტომ ერიდენით მათ... გინებასა და ცემა-ტყუპს
ბავშვი კიდე დაივიწყებს, მაგრამ შიში-კი ყოველ
დღე ჰქეჯნის მის ნორჩ გულს. ცოტა მაგალითი
კი არ არის, რომ ამ გვარი დაშინებით ბავშვები
ავად გამხდარან და წუთი სოფელსაც გამოსთხოვე-
ბიან უდროვოდ... მესამე ჯურის გამდლები,
ცოტათი უფრო უკეთესები არიან პირველებზე,
ნებას აძლევენ ითამაშონ ბავშვებმა განურჩევლად
ყველასთან, როგორც უნდა ყმაწვილი იყოს. მაგ-
რამ ის-კი აღარ იციან ამ დალოცვილებმა, თუ რა
სიფრთხილყ მართებთ მათ ამ შიმთხვევაში. როცა
ბავშვები თამაშობაში წაიკიდებიან ხოლმე, გამდელს
გული მოზდის, არ იცის რომელი გაამართლოს,
ან რომელი გაამტყუნოს და ერთ-ერთს მათგანს
უჯავრდება, ან სტუქსავს. ბავშვი ჰხედავს გამდ-

ლის უსამართლობას და მის გულს ნელ-ნელა ეპა-
ნება ზიზლი ჯერ თვითონ გამდლისა და მერე
ხვისადმიც. ამისთანა გამზდელების ბრალია სხვა-
თა შორის იმ ხასიათის შეთვისება, რომ ზოგიერ-
ი, უკვე ხასიათ-დამჯდარი პირები, ყოველისფერს
აიზლით უცქერიან.

ასე, ჩემო ბატონო, გამდლები საიმედონი
რ არიან; თქვენ კი მშველელი გექირვებათ შვი-
ლის აღზრდაში. მაშ რა უნდა ქნათ? ერთი ღონის-
იებაა დარჩენილი. ვიცი გეუცხოვებათ იგი, მაგ-
ნამ მაინც მოგახსენებთ: წინაღვე მოამზადეთ გამ-
ზდელი, გაზარდეთ იგი თქვენი შვილისათვის. ერთი
მეხედვით იქნება ძნელ საქმედ გეჩვენოთ ეს, მაგრამ
დელია კი, თუ ხანში შესულის მაგიერ ჯერ
ულ ახალ-გაზრდა ქალიშვილს აიყვანთ გამზდე-
ლათ, იშოვნეთ ახალ-გაზრდა, მხიარული, მოლაპა-
ჩაკე (ყბედი არა) გამდელი და აღზარდეთ იგი.
ახალ-გაზრდა უფრო შეითვისებს და შეიტკობს
თქვენ ბავშვს, ვინემ ხანში შესული, მაგრამ ვიდ-
რე ჩააბარებდეთ მას თქვენს ბავშვს, დეე, რამ-
დენიმე ხანი ისე იცხოვროს თქვენს სახლში, მიი-
ყედ-მოიხედოს, გაიცნოს ის, თუ თქვენ თითონ
ზოგორა ზრდით ბავშვსა, როგორ ელაპარაკებით,
ზოგორ ათამაშებთ და იცინით მასთან. თუ თქვენ
სოახერხებთ და კარგად მოექცევით ბავშვს, დარ-
წმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი ახალ-
გაზრდა გაძღელოც მათი მიჰხიდება ამას. დამ-

ღელი უნდა უყურებდეს თქვენ შვილს, როგორც თქვენ საუნჯეს, ძვირფას სამკაულს და თუ როგორმე შეაგნებინეთ ეს თქვენ გამდელს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი ყმაწვილი ამასთანაც იმავე სიაზოვნებას გამოსცდის, როგორც თქვენთან. დაარიგეთ ხოლმე თქვენი გამდელი აღფრსიანად; ამან უნდა იგრძნოს, რომ თქვენ მისთვისაც კეთილი გსურთ. ჯილდოთ ამისთანა ზრუნვისა განდევლების შესახებ ის სარგებლობა იქნება, რომელსაც ესენი თქვენ შვილს მოუტანენ. ნურც ის დაგაფიწყდებათ, რომ გამდელი მოსამსახურე გოგო არ არის: ეს მაღლა უნდა იდგეს ამათზე, ის არის ამათზე თქვენი შვილისა და თითონ თქვენ კი აღმზრდელი ორივესი. ახლოგაზრდა გამდელმა ჯერ ოთახში უნდა უგდოს ყური პაწაწინას, ცოტა ხანს შემდეგ სასეირნოდაც მიანდეთ ახლომანლო ადგილებში და მერე შორსაც შევიძლიანთ ანდოთ ყმაწვილის გატარება *).

ასე, ბატონო ჩემო! გამდლები საიმედონი არა ყოფილან, თქვენ-კი უეჭველად უნდა პატარა ემიკო წმინდა ჰაერზე ამყოფოთ, მხოლოდ როდესაც კარგი დარია, ქარა არ არის და ნოტიო. თუ ზამთარშია ბავშვი დაბადებული 1 ან 2 თვისა შევიძლიანთ გარედ განიოყვანოთ, ზაფხულში-კი

*) იხ. აღზრდა შვილისა—ერნესტ ბუქსი, ჩემ მიერ ქართულად გადმოღებული.

ერთი კვირისაც შეიძლება. სეირნობამ, თუ გინდათ რომ ნამდვილი სარგებლობა მოიტანოს, საჭიროა:

- 1) იცოდეთ, რომ ზაფხულში ყველაზე საუკეთესო ასეირნო აღვილი—ბაღია, ქვიშით დაფენილი ეზო, ქაღალბი აღვილები და სხვა-და-სხვა. არ უნდა ასე არნოთ ბავშვი ვიწრო ქუჩებში, დიდ ქუჩებში, სადაც მრავალი ხალხი მიდის და მოდის; მეტის-ქეტად მაგნეა სეირნობა არხთან, სასაფლაოსთან, ტბებთან, მდინარეებთან, კაობებთან, სადაც მრავალი უჩინარი ცხოველები ბუდობენ (ინფუზორები);
- 2) უნდა ესეც იცოდეთ, თუ როდის ასეირნოთ თქვენი ფიკო. ამისთვის საუკეთესო დრო 11-4 საათამდის, ან თუ გრძელი დღეებია, შზის ჩასვლა-მდის. ზაფხულში ბავშვები შეიძლება კარგ აპინ-დზე მთელი დღე ჰაერზე ამყოფოთ: არ უნდა მის-ცეთ ნება სეირნობისა ძალიან ადრე, ვინემ მზეს არ დაუკრავს თავისი ძლიერი სხივები დედა-მიწისა-თვის და არც გვიან, შემდეგ შზის ჩასვლისა;
- 3) ქარიან დღეში არ უნდა ასეირნოთ და თუ აუცილებელ-ლი საჭიროება მოითხოვს ამ დროს მის ქუჩაში გამო-ყვანას, აპას მაინც ეცადებით, რომ ბავშვს პირ-და-პირ სახეში არ უბერავდეს ქარი; აგრეთვე მავნებელია ბავშვის ხელში დაქერა ისე; რომ მზემ პირ-და-პირ თვალეში უბკყვრილოს: მისი თვა-ლები უნდა დაცული იყვეს შზის შუქისაგან ქოლ-გით ან პირბადითა.
- 4) უნდა ყურადღება მიაქ-ციოთ, რომ გამდილი სეირნობის დროს რიგაანათ

ექცეოდეს ბავშვს; ძალიან საჭიროა თქვენცა და თქვენმა გამდელმაც იცოდეთ, თუ ხელში როგორ დაიჭიროთ ბავშვი. იქნება ამაზე გაგეცინოთ კიდევ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა კი აქვს ამის ცოდნას. 4 თვემდის გეზად უნდა გადაწოლილი გყავდეთ ხოლმე ხელზე, უამისოდ ხშირად ხდება ხოლმე გაბრუნება ხერხემალისა, კუზიანდება ბავშვი, ეკრუნჩხება გულის ფიცარი და ზიანდება თეძო და თუ ბავშვს თავი მაგრა უჭირავს, თუ იგი გამაგრებულია ტანში, მაშინ კი ნება გაქვთ დაიჭიროთ ხელში და ისე ატაროთ. ამ დაქერის დროს მიაქციეთ ყურადღება, რომ გულის ფიცარი არ შევიწროვდეს, არაფერი აწვებოდეს და მასთან გული და ფილტვები არ იყვეს შევიწროვებული, რა მიზეზითაც ბრკოლდება სისხლის მიმოსვლა თავიდან გულთან, რომ არ შეხუთოს კუჭი, რა მიზეზითათაც მოხდება ხოლმე მისი მოშლა და ბავშვს აუტყდება ხოლმე ბოყინი და სხ. ტყუილად კი არა ბრძანებ ბ-ნი ჟუკი *): „ახლად მოვლენილი ბავშვი თავსაც ვერ იღებს. თუმცა მას იგივე ორგანოები აქვს, რაც დიდებს, მაგრამ ჯერ ვერ უსწავლია მათი მოხმარება და მასთან ძვალაც ძალიან სუსტი აქვს. ფეხებითა და ხელებით იგი უკვე თავისუფლად მოძრაობს და მიეცით ნება ამ ვარჯიშობისა. დაიჭირეთ ხოლმე ისე, რომ თავისუფლად იფუთფუთოს, მეტად რე

*) იხ. Мать и дитя—Жука.

როდესაც მას არ ეძინება, ნუ შეავიწროებთ ტანისამოსით და დრო-გამოშვებით გამთბარ ლოგინში გადახადეთ ხოლმე საბანი, რომ თავისუფლად შეექლოს ვარჯიშობა თავისი ორგანოებითა. ჯერ ეცდება აამოძრავოს თავი და მერე აიღებს კიდევ ქალა. მაგრამ ნუ აიყვანთ ამ დროს მათ ხელში, თორემ უხეიროდ ხელში დაქვრამ იცის გაბრუნდება ხერხემალისა.

წერილი მეუზვიდე.

„კბილების ამოჭრა!“ რა საშინელი სიტყვაა ეს სიტყვა დიდებისთვის, რა გულის ფანცქალით ოელიან ხოლმე ესენი ამ დროს! ბევრი მათგანი კხოვრების რიგსა და წესსაც კი იცვლის ხოლმე რომ მას არაფერი ზიანი არ მიაყენონ, ზოგი სოკელშიაც კი აღარ მიდის ზაფხულობით, რომ თავისი საყვარელი შვილები ამ დროს უეჭიმოდ არ პარჩნენ.

რაც უნდა მოხდეს ექვსი თვიდამ დაწყებული არ წლამდის, ყველაფერს კბილის ამოჭრას აბრალებენ: შეაცივნებს ბავშვს—„ეს კბილის ციება რისო“, დაახველებს—„ეს ხომ კბილის ხველააო, კალარათობა ხომ უტყუარი ნიშანია კბილის ამოჭრისაო“. ერთი სიტყვით, არ არის ისეთი ავადყოფობა, რომ კბილის ამოჭრას არ დააბრალონ. აიცი ამასაც შეიურიგდებოდა, რომ ყველაფერი

უკიდურესობამდის არ მიყავდეთ, არ ანდობდნენ ამ საცოდავ არსებას, თავისი ცრუ შეხედულობის მსხვერპლად არა ჰხდიდნენ. აქ უბედურება ის არის რომ მშობლები თვით ექიპებისგინ არიან ჩაგონებული, რომ კბილის ამოჭრის დროს ბავშვს წამალი არ მიუდგება და მაშასადამე, მის წამლობაზედ ვიქრი ამოთა ამოება იქნებაო, ამოიჭრება კბილი და ყველაფერი თავის თავად გაივლისო. ასე რომ ხანგრძლივ ფაღარათობა, ეს დამასუსტებელი და საშინელი მტერი ბავშვისა, უმეტეს შემთხვევაში რჩება ხოლმე უყურადღებოდ და თან, პირიქით, უხარიანთ კიდევ ხოლმე—ჩვენი შვილები ეხლა უზრუნველყოფილები არიან თავში სისხლის მოწოლისაგანაო. და რაძდენი ბავშვი გამხდარა მსხვერპლად მშობლების ამ გვარ შეცდომილებისა“ *). ამ სიტყვებით იწყობს ბ-ნი ჟუკი თავის სტატიას კბილის ამოჭრის შესახებ და გულმოდგინეთ რომ ჩაუკვირდეთ ამ სიტყვებს, მოწყალეო ხელმწიფევ, სამართლიანადაც მიიჩნევთ თქვენ. ამ სტრიქონებს. მართლაცა და ისე არსადა სტყუედება მშობელი, როგორც ამ შემთხვევაში; ბავშვის ცხოვრებაში ისე არაფერია გაზვიადებული, როგორც ეს ხანა და საიდან წარმოსდგება ყველა ეს? რისთვისა ვტოვებთ ბავშვს უყურადღებოდ ღ უზრუნველად მაშინ, როდესაც იგი უფრო მომეტებულიად საჭიროებს, რომ მოუ-

*) იხ. დედა და შვილი თხ. ჟუკისა.

ა რ ო ნ დ ა რ ო ჯ ნ ო ნ მ ა ზ ე დ . „სამწუხაროდ, ყველა ამა ზე უმეტესად თვით ექიმები არიან დამნაშავენიო, ბრძანებს იგივე ჟუკი და ამ აზრის დესასაბუთებლად მოჰყავს ამერიკელ პროფესორის იაკობის სიტყვები, საიღამაც სჩანს, რომ 1857 წ. ექიმების გამოანგარიშებით მარტო ინგლისში 3992 შემთხვევა ყოფილა ზავწევების სიკვდილისა კბილებისაგან და 74 შენთხვევა უექველად კბილებით მომკვდარა. ეს ციფრები ბევრს რასმე გვეუბნებიან და, სხვათა შორის, იმასაც, რომ ექიმები ზედა პირად არიან გაცნობილები ბავშვის ავადმყოფობასთანაო“ *).

თქვენ კი ნურასფერისა შეგეშინდებათ, ბატონო ჩემო! მხოლოდ ამასა გთხოვთ, ღრმად ჩაუკვირდით თქვენ პაწაწინას უმანკო სულსა, გაანათლეთ და გაათბეთ იგი თქვენი დედობრივი სიყვარულით, საყნოსველად გადუშალეთ თქვენი ვარდიანი გული, ანუგეშეთ იგი, დაუყვავეთ, უალერსეთ, ამყოფედ იგი ნამდვილ ჰიგიენურ პირობებში და გარწმუნებთ, რომ ვერაფერს ვერც თქვენ გაიგებთ და ვერც თქვენი ბედნიერება. გარწმუნებთ, რომ ეს ბუნებითი მოვლენა საღი ბავშვებისათვის ადვილათაც იწყება და ადვილათაცა თავდება ხოლმე; ამ შემთხვევით უმეტესად იტანჯებიან და წუხდებიან ის ქორთა ბავშვები, რომლის აღზრდასა და საზრდოობაზედ არ იყო პირველადვე

*) იხ. დედა და შვილი, თხ. ჟუკისა.

იქცეულა ყურადღება მას აღზრდაში არ იყო დაცული ჰიგიენური პირობანი. უეჭველია ისიც გეცოდინებათ, რომ ყველა ბავშვს ერთსა და იმავე დროს არ ეწყება კბილის ამოჭრა: ზოგიერთია რომ 7 და 8 თვისას ამოსდის ხოლმე კბილი, ხან-და-ხან მეათე და მეთერთმეტე თვეზედაც მოხდება ხოლმე, ხან ამაზე გვიანაც: არის შემთხვევა, როდესაც ამ ვადაზე უფრო ადრეც ამოიჭრება კბილი, ყოფილა ასეთი შემთხვევაც, თუმცა ძალიან იშვიათად, როდესაც ბავშვი კბილიანი დაბადებულია.

ნიშნება კბაღას ამოჭრასა: ამ დროს შენიშნულია ანთება ღრძილების ლორწოიანი გარსისა, პირისახისა და ზოგიერთა შინაგან ორგანოებისა. ბავშვი მოუსვენრობს, იდობრდება, ხამუშ-ხამუშ გაჰკივის კიდევ: ხან-და-ხან თვალებიც უწითლდება, სურდო ემართება, ღოყები უწითლდება; ძილში შეკრთება ხოლმე, მოუსვენრად არის, ღრძილები სტკივა და ექავება; ყველაფერს პირისკენ მიიტაცებს და ჰღეჭავს: ღრძილებზე ხელის გადასმა იამება და შვებას აძლევს. ამას უმეტეს შემთხვევაში ფალარათობა მოსდევს, რომლის დროსაც არაფერი საშუალება არ უნდა იხმაროთ უეჭიმოთ, რადგანაც შეიძლება, რომ სხვა მიზეზითაც იყვეს გამოწვეული ეს ფალარათობა. ეს არის პირველი ხანა კბილების ამოჭრისა; ბავშვი მალე მშვიდდება.

შემდეგ ამისა იწყება მეორე ხანა კბილების ამოჭრისა: ამ დროს ბავშვს ვერ გაუბედნია პირში

რამის ჩადება; ქცივის ღეჭვის დროს; ღრძილები-
ცა და საერთოდ ლორწოიანი გარსიც უხურს;
ღრძილებზე მოსჩანან ძალიან მგრძობიარე ბორ-
ცვები; ფერს მალ-მალ იცვლის, ჟინჯლიანობს, არ
ესიამოვნება, როდესაც იგი ვისმეს უჭირავს, მაგ-
რამ დასვამენ თუ არა, მაშინვე ისევ ხელსაკენ
იწევს—ერთი სიტყვით რაღაც გამოურკვეველ
ქდგომარეობაშია: თხოულობს ძუძუს, მიაწვდიან,
არ ეკარება მას; ეტანება ყველა საგანს, არც ერთს
კი არ ეკარება; ხან-და-ხან ყველა ამას ციებაც
ღაცრთვის ხოლმე. მაგრამ ამოიჭრა პირველი კბი-
ლი და ყოველივე ჰქრება. საღს ბავშვს ადვილად
ეჭრება კბილები, სისხლ-მოჭარბებულის, სქელი ბავ-
შვები უფრო ხშირად იტანჯებიან ამ მოვლე-
ით. *).

ხელის შეწყობა. პირველ-დაწყებით მოვლა-
ცებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში:
იღვებები, რომლებიც პირველადვე კარგად საზრ-
ჯობენ, ბავშვები, რომლის შესახებაც დაცული
ყო ყველა ჰიგიენური და დიეტური პირობები,
ყოველთვის ადვილად იხდიან ხოლმე ამ პროცესს.

*) დაკვირვება: ჩემს ბავშვს მეთექვსმეტეზე დაეწყო
ბილის ამოჭრა და დღემდის 8 კბილი ისე ამოეჭრა, რომ
ვენ არა შეგვიტყვია-რა; ამ მოვლენას იმითი ვხსნი, რომ
აკვები კარგი ჰქონდა, უმეტეს ნაწილად ჰაერზე ვამყიდებ-
ით და თბილ წყალში (23-29°/o) ბანაობით ხელს ვუწყობ-
ით. ალ. ნათაძე.

კბილის აზოქრა არ არის ავადმყოფობა, მაგრამ ადვილად იწვევს ზოგიერთა ავადმყოფობის მოვლენას.

როდესაც ბავშვი მოუსვენრობასა გრძობს და ღრძილებს იტკივებს, შეგიძლიანთ გაუქარვოთ ეს ტკივილები ღრძილებზე თითის მოსმით, შეიძლება მისცეთ პირში ჩასადებად რეზინის რგოლი, იის ძირი და სუფთა ტყავის ნაჭერიც. მხოლოდ ამას ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ნივთები ძალიან სუფთად უნდა იყვნენ დაცულნი. აუცილებლად საჭიროა, რომ ბავშვი წმინდა ჰაერსა სუნთქავდეს: ზამთარში ოთახი უეჭველად გაანიავეთ ხოლმე და ზაფხულში კი ყოველ შემთხვევაში გარეთ ამყოფეთ ხოლმე. თბილ, ასე 18—20 გრადუსიან წყალში ბანაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვისათვის. სისხლის მიწოლა შეგიძლიანთ ააშორათ თავის გაგრილებით. ამასა გთხოვთ, არა შემთხვევაში ემიკოს ქუდი ან რაიმე თავსახურავი არა ჰქონდეს თავზე, რადგანაც შეილება თავი ჩაუხურდეს და ამას ცუდი შედეგი მოჰყვეს. თუ ვინიცობაა ბავშვის სიცხე შეამჩნიეთ, ან თუ ბანაობის შემდეგ ცუდათ იძინებდეს, მაშინ აიღეთ ღრუბელი, ამოავლეთ წყალში (ნახევრად შეიძლება ძმარიც შეურიოთ), კარგად გასწურეთ და მერე წაუსვით თავზე. ეს შეგიძლიანთ ღღეში რამდენჯერმე გაიმეოროთ. თუ თქვენი ემიკო ძუძუსა სწოვს, გთხოვთ ზოგიერთა ზომი-

ერება დაიკოთ საქმელ-სასმელში, რომ თქვენ რძე არ გასქელდეს. ბავშვის ძუძუს გაშვებინება ა შემთხვევაში ძალიან მავნებელია. ერთი სიტყვიც ამ დროს საჭიროა: 1) იცოდეთ რომ ბავშვისთვის მეტადრე ამ დროს საჭიროა სუფთა ჰაერი, სისუფთავე, ზომიერება სასმელ-საქმელში, თბალი საბანებელი; ბავშვის გართობას ამ შემთხვევაშიაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მე აქ, რასაკვირველია, იმ გართობის შესახებ არ მოგახსენებთ, როდესაც ბავშვს ანჯღრევენ, მალლა ისვრიან, აქანავებენ და სხვა. მე ვამბობ ნაზი სიმღერით გართობაზე. აბა, სცადეთ, როგორც „ბატონების“ დრო იცით ხოლმე, უმღერეთ ჩვენი ტკბილი „ნანინა“ „მზე-შინაო“ და სხ., თუ როგორ ესიამოვნოს მას. რა კარგი გავლენა ექნება მას ემიკოს დასუსტებულ ძარღვებზე. ცუდს ხმაურობას, ცუდს ხმას ვერ იტანს ბავშვი. გააგონეთ მას ტკბილი მუსიკა, ნაზი საღამური, თარი, ჩონგური, მიეცით რაიმე სათამაშო და მაშინ ნახავთ, როგორ დაივიწყებს თქვენი ბავშვი ყოველ გვარ ტკივილსა და შეიძლება ამ გართობის შემდეგ, რაც ხშირად არის ხოლმე, კიდევ ტკბილად ჩაეძინოს *); 2) უნდა ფრთხილად იყვეთ

*) ზოგიერთა ავტორები, როგორც მაგ. მალკოვი და ბევრიც სხვა, სრულიად წინააღმდეგნი არიან ამ გართობისა, რადგანაც ბავშვს გართობაში უფრო უორკედება ტკივილებიო. მაგრამ გამოცდილება სხვას გვეუბნება და, მაშასადამე, მათი ფიქრი ამ საგნის შესახებ მნიშვნელობას მოკლებულია.

ამ დროს, რომ ყველაფერი კბილის ამოჭრას არ დააბრალოთ და სხვა რამე ავადმყოფობა, რომესაც არაფერი კავშირი არა აქვს კბილებთან, არ გაუძნელოთ: თითების მალი-მალ პირში ჩადება, ქუძუს მოჭერა ღრძილებით, ყვირილი, კვნესა და მოუსვენარი მდგომარეობა შეიძლება ტანისამოსის შევიწროებისგან ხდებოდეს; ფალარათი, ხველა, სიმსივნე, აიცხე შესაძლოა დასაწყისი იყვეს რაიმე ძნელი ავადმყოფობისა და თქვენ კი „კბილების ცივნება“, „კბილის ხველა“ გეგონოთ და იგი დასტოვოთ უეჭიმოთ; მ) რომ არ შესცდეთ ამ შემთხვევაში ასარგებლოა იცოდეთ დრო და რიგი კბილის ამოჭრისა; პირველი ჯგუფი—ორი ძირის შუა საკრელი კბილი იწყება 7 თვიდამ; მეჩრე მერვე და მათე თვეს ამოიჭრება 4 ზევითა აკრელი კბილი, ჯერ ორი შუალა და მერე ორი ვანაპირა. 18 და 20 თვეებში იჭრება 4 ლოჯი, ან თვალის კბილს რომ ეძახიან; 5 წლისას ემატება კიდევ 3 ძირის კბილი (მუდმივი კბილი) და სხ. რასაკვირველია, არის ხოლმე შემთხვევა, რომ ყველა ბავშვს ამ რიგობაზე არ ეჭრება, რასაც არაფერი მნიშვნელობა არ უნდა მისცეთ, მხოლოდ თუ ორი წლის დასაწყისამდის არც ერთი კბილი არ ამოუვა, ეს კი მოასწავებს ბავშვის ავადმყოფობას, ორგანიზმის სისუსტეს და მაშინ კი გმართებთ ყურადღებით მოექცეთ ამ საქმეს.

აი ყველა ის, რაც შემეძლო მეთქვა ამ საინ-

ტერესო კითხვის შესახებ და ეხლა თქვენზეა დამოკიდებული, ბატონო ჩემო, თუ როგორ ისარგებლებთ ამ განაზიარით. მეორე კითხვაზე კი, ძუძუს გაშვებინების შესახებ, ნება მომეცით შემდეგ წერილში გემასლაათოთ.

წერილი მერვე.

„ძუძუ უნდა გავაშვებინო და გული მიკვდება ამ გარემოებითაო, მწერთ თქვენ; მიშველეთ რამე, მირჩიეთ რა გქნა, რა ზომები მივიღო, რომ მეც გამიადვილდეს და ბავშმაც აიტანოს თავის საყვარელი ძუძუს დატოვებაო“. მართლა რომ საფუძვლიანია თქვენი მწუხარება, ბატონო ჩემო! მართლა, რომ ძნელია ბავშვა დასტოვოს თავისი საყვარელი ძუძუ, რომელსაც წლის განმავლობაში ასე ეკონფობოდა, რომელთანაც მუსაიფობდა, ლხინობდა, ხანდახან უჯავრდებოდა კიდევ, თბებოდა და მთელი თვისი არსებით იგი მას ეკუთვნოდა. მაგრამ მაინც და მაინც უნდა გააშვებინოთ ძუძუ. მე სრულიადაც არ დაგიწყებდით ამ საგანზე საუბარს, რადგანაც ეს საქმე უფრო ჰიგიენისტების საქმეა, რომ ბავშვის ცხოვრებაში ეს შესანიშნავი ამბავი არ გამოიწვევდეს ხოლმე ხანდახან სრულიად მისთვის ახალ გრძნობას, რომელსაც, თუ შეიძლება ასე დავარქვათ: ძუძუს გამო დადარდიანებას. *) ბავშვისას. თუ გაშვებინე-

*) იხ. დედა და შვილი ძხ. ჟუკისა.

ბა უდროვოდ მოხდა, ან კიდევ უეცრივ, ან სხვა საკმელებთან შეუჩვეველად, მაშინ ბავშვი სუსტდება ხორციელად და ნაღვლიანდება კიდევ მიეჩვეულების, ადრე მოსპობისა გამო. არც გასაკვირველია, ბატონო ჩემო! კომპერეს ბრძანებისა არ იყოს, ამ პაწაწინა არსებამ იცის მხოლოდ თქვენი ძუძუ, მას უყვარს იგი მთელი თავისი არსებით, თავისი ძალ-ღონით, იგი ჰფიქრობს მხოლოდ ამ ცხოვრების შადრევანზედ, იგი სიამოვნებს მითი, ხალისიანად უახლოვდება მას და ჰშორდება მხოლოდ იმისთვის, რომ მოისვენოს ამ პაწაწინა ბატონმა და კვლავ ისევ ისე დაუბრუნდეს და ხელახლა ჩაეკონოს თავის საყვარელ ძუძუს. ბავშვი გრძნობს კიდევ კმაყოფილებას თბილი საბანელისაგან, აგრეთვე ჰგრძნობს კმაყოფილებას სასიამოვნო, ზომიერ ნათელისაგან და მეტადრე დღის ნათელისაგან პირველად სასეირნოდ გაყვანაზე; წარმოუდგენელია რამდენს სიამოვნებას ანიჭებს ბავშვს ეს ლაყვარდოვანი ცა, რომელზედაც ერთმა ბრმად დაბადებულმა ბავშვმა ოპერაციის შემდეგ წარმოსთვა, რომ ყველაზე უკეთესი ქვეყნიერობაზედ ესაყოფილაო; ეს წმინდა და სასიამოვნო ჰაერი, ეს სასიამოვნო ველი, ეს მთა, ეს ტყე და ყველაფერი ქვეყნიერობაზედ, მაგრამ ყველა ძუძუსთან შედარებით არაფერი სიამოვნებაა ბავშვისთვის, ძუძუსაგან წარმომდგარი სიამოვნება და კმაყოფილება—უდიდესი გრძნობაა ბავშვის ცხოვრებაში. პირ-

ველი დღეები სიცოცხლისა, როდესაც ბავშვმ. ტუჩები ჩასჭიდა დედის ძუძუს—უდიდესი ხანა ბავშვების ცხოვრებისა, რასაკვირველია, რამდენი მე თვის შემდეგ დაბადებისა ეს გრძნობა ისე ძრიაელი აღარ არის, როგორც პირველ ხანებში, რადგანაც ბავშვს შეჰხვდება სხვა-და-სხვა შთაბეჭდილება ერთეება იგი, ყველაფერი იზიდავს მას და, როგორც ერთმა პოეტმა სთქვა: „ყველაფერს თვალითა სჭამს“; მაგრამ მაინცა და მაინც ძრიაელი გრძნობა ძუძუს სიყვარულისა სჭარბობს ყველს: სხვა გვარ გრძნობას ბავშვისას.

„პირველი სიყვარული ბავშვისა არის სიყვარული გასტრნომისა, ამბობს პსიხოლოგი პერე, როდესაც ორი თვის ბავშვზედ ლაპარაკობს. ეს ნამდვილი ცხოველია და მერე როგორი?—საშინელი ღორ-მუცელა... მე თავის დღეში ვერ წარმომედგინა, რომ პაწაწინა ბავშვი ასეთი დიდი ღორ-მუცელა იქნებოდა. ამისთვის გარეშე ჭამისა არაფერი არ არსებობს. თუ იგი ჭამაშია გართული, მას ვერაფერი მიიზიდავს.“ წარმოიდგინეთ მეცხრე და მეთექვსმეტი თვეებშიაც კი, ამბობს პრეიერი *), ბავშვს ყველაზე ძალიან საკმელი აინტერესებს, ვინემ არ გაძლება, იგი მოუსვენრად გრძნობს თავის თავს, ჯავრობს, ჰკექს და ჰკუხს“, აი ამისთვისაც არის ხოლმე, რომ ბავშვი ყველაფერს

*) იხ. სული ბავშვისა თხ. პრეიერისა.

პირისკენ შიშანებს, რასაც-კი ხელთ იგდებს, სწოვს ან თავის თითსა, ან ათვალეერებს—მოიგდოს რამე ხელში, რომ პირისკენ გააქანოს. „ჩვენ ვნახეთ, ამბობს კომპერე *), ერთი ბავშვი, რომელმაც შენიშნა თუ არა, რომ თანჯარას ვაკაკუნებდით, ტუჩები მიანძრ-მოანძრია, პირი გააღო, თითქო ეს ხმაურობა უნდა დაიჭიროს და გადაყლაპოსო“. ღორ-მუცლობა-ეს პირველი ვნებაა ბავშვისა და ბევრი ხანიცა რჩება ეს გრძნობა მის კუთვნილებად, ისიც არის, რომ ბავშვი უფრო ბევრსა სწოვს, ვინემ საჭიროება მოითხოვს. იგი ჯავრობს კიდევ დედაზედ, ბრაზობს, თუ ვინიცობაა მისმა ძუძუმ არ დააკმაყოფილა იგი. ამასთანავე შურიანიც რომ ღდება ეს ბატონი?! ტიდემანი გვიამბობს, რომ მისმა შვილმა სრული უკმაყოფილება გამოაცხადა, როდესაც თავისი დედის ძუძუსთან სხვა ბავშვი დაინახა: იგი აღელდა, გაჯავრდა და ხელების შლით ცდილობდა ეს დაუპატიჟებელი სტუმარი მოეშორებინა როგორმე.

მაგრამ მიუხედავად ამისა, რომ ძნელია ბავშვმა დასთმოს თავისი სავარელი ძუძუ, თქვენ მაინცა და მაინც უნდა გააშეგებინოთ ემიკოს იუძუ. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ როდის და როგორ მოახერხოთ ეს ძნელი საქმე? უეჭველია ეს კითხვა ძალი-

*) იხ. გონებითი და ხნეობითი განვ. ბავშვისა—თხზ. თანპერესი.

ან გაინტერესებთ თქვენცა და თქვენთან ერთად ყველა ახალგაზდა დედას. სხვა თქვენზედ უფრო „გამოცდილი“ დედა ადვილად ახერხებს ამას: აიღებს—ძუძუს თავზედ წაისვავს ქინაქინას, ან ნალველას და ზოგიერთგან საქონლის განავალიც-კი აუზიზღებს ბავშვს ძუძუს და მორჩა და გათავდა. ამის შედეგზედ იგი სრულიადაც არა ჰფიქრობს ამ დროს ბავშვი ავითაც რომ გახდეს, ამ ავადმყოფობას სხვა მიზეზს რასმე გადააბრალებს და ნამდვილ მიზეზს-კი სრულიადაც არ მიაქცევს ყურადღებას. თქვენ-კი მოწყალეო ხელმწიფევე, ამ კითხვის გადაწყვეტაში ბევრი რამ საგულისხმებრო გარემოება უნდა მიიღოთ მხედველობაში და უწინარეს ყოვლისა, ის თუ თქვენს ემიკოს ამოეჭრა თუ არა 8 კბილი, ოთხი ზევით და ოთხი ქვევით, ეს უტყუარი საბუთია ამისა, რომ დრო არის თქვენი ვაჟ-კაცი ძუძუს მოამოშოროთ; მეორე კიდევ მოამზადეთ თუ არა ემიკო ძუძუს დატოვებისთვის, ე. ი. შეაჩვიეთ იგი თუ არა სხვა საკმელსაც, გარდა დედის რძისა რომ მას ადვილად ავაცდინოთ ყველა სახიფათო შედეგი ძუძუს დატოვებისა. თუ თქვენს ბიჭს 8 კბილი ამოეჭრა, თუ თქვენი ბიჭი, გარეშე დედის ძუძუსი სხვა საკმელსაც შეექცევა, მაშინ რაღა დაგიშლით, აიღეთ და მოაშორეთ იგი ძუძუს. მხოლოდ ეს კი გახსოვდეთ, რომ ძუძუს გაშვებინება 8 თვეზე ადრე არ უნდა მოახდინოთ, უფრო კი უკეთესია წლის ბოლოს: ერთი სიტყვით: 1) თქვენს იმიკოს იჭიოთ

8 კბილი უნდა ჰქონდეს ამოჭრილი—ეს უტყუარი ნიშანი ძუძუს გაშვებისა; 2) ბავშვი უნდა სხვა საკმელსაც იყვეს შეჩვეული, რომ მან ძუძუ ადვილად დათმოს: იგი უნდა შეჩვეული იყოს ძროხის რძეს, წვეწვ (ბულიონს) ფრანგული ფუნთუშით *), ან ორცხობილათი **); 3) წელიწადის დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ძუძუს გაშვებინებაში: ზაფხულში, მეტადრე თბილ ქვეყნებში, ძალიან სახიფათოა ძუძუს გაშვებინება, შეიძლება ფაღარათობა დაემართოს და ცუდი შედეგი მოჰყვეს და ესეც რომ არ იყვეს ძროხის რძე ძნელი შესანახია ზაფხულში; მე გირჩევთ თქვენს ემიკოს გააშვებინოთ ძუძუ გაზაფხულზე, ან შემო-

*) ფუნთუში—თღორი პური—რუსები რომ „бѣлка“-ს ეძახიან.

**) ორცხობილა—რუსები ეძახიან ამას „сухарь“; იქნება ეს სიტყვები ვისმე ვუცხოვოს, მაგრამ ყველაფერს შეჩვევა უნდა—ჩვენი მამა-პაპანი აპასა ხმარობდნენ, ძველ წიგნებშიაც არას ეს სიტყვები და კარგადაც ჰხატავს სიტყვას „сухарь“ ე. ი. ორჯერ გამომცხვარი პური.—მაგრამ ამ ორ გვარ პურში სახმარებლად ისევ ფრანგულ ფუნთუშას ვამჯობინებ. უნდა ნაქრებად დაიკროს, მერე კარგად გახმეს და წვრილ-წვრილათ წვენში დალობით მიეცეს ბავშვს. ეცადენით, რომ ეს პური პეავე არ იყოს. ესევე გამწმარი ფუნთუში რომ საღრღნელად მისცეთ ბავშვს, ამითაც არა დაუშავდება-რა, მხოლოდ ყურის გდება უნდა, რომ დიდ ნაჭერი არ გადაყლაპოს და სასულეში არ წაუვიდეს.

აღ. ნათაძე.

დგომაზე, ან ზამთარში. ერთი ორი თვით სჯობია დაავიანოთ ძუძუს გაშვებინება, ვინემ ზაფხულის სიცხე-პაპანექებაში მოახდინოთ ეს ამბავი მეტადრე სოფელში, სადაც გაქირების დროს ექიმსაც-კი ვერ იშოვნით; 4) ამ დროს ბავშვი, უექველად საღათ უნდა იყვეს, მეტადრე კუჭი უნდა კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდეს.

ახლა საქმე იმაშია, ბატონო ჩემო, ერთბაშად გავაშვებინოთ ძუძუ ბავშვს, თუ ნელ-ნელა: ამის შესახებ მრავალი სჯა და ბაასია ექიმთა და ჰიგიენისტთა შორის. მე აქ არ შეუდგები მათი აზრების გადმოცემას, მხოლოდ ამას გთხოვთ საშვალო ღონის ძიებას მიმართოთ: ამოიჩიეთ დასაწყისად რომელიმე დღე და ამ დღიდან ნელ-ნელა აცოტავით ძუძუს ძლევა. დღეს რომ 4-ჯერ მოაწოვოთ, ხვალ 3-ჯერ მიეცით ძუძუ, მერე 2-ჯერ და ერთს დღეს სრულიად მოუსპეთ ძუძუს ძლევა. უექველია, პირველ-ხანებში იტირებს იგი, ცოტა შეწუხდება, თქვენც, უექველია, დამილონდებით, იქნება ცრემლიც კი და აფრქვიოთ თქვენი მოსაყვარულე თვალებიდან, მაგრამ თქვენი ემიკო მალე მიივიწყებს თავის საყვარელს ძუძუს და თქვენი დანადვლიანებული გულიც დამშვიდებას მიეცემა, ჩემო კარგო ბატონო!

წერილი მაცხარე.

თქვენ მწუხარებით მატყობინებთ, რომ ემიკო მალე ერთი წლისა უნდა გახდეს და ჯერ სიარულს ვერ მიჩვეულა, თუმცა დგომა კი ისწავლაო. სწორედ მოგახსენოთ, აქ სავალალო და სამწუხარო არა არის-რა, ბატონო ჩემო. ნიშნებითა სჩანს, რომ ემიკო მალე, ძალიან მალე აიდგამს ფეხს. მხოლოდ ამასა გთხოვთ, ნუ აჩქარდებით თქვენ ამ საქმეში. დედების უმეტესობა იმის ცდაშია რომ მათმა შვილმა ყველას გაასწროს წინ: ყველაზე ადრე მისმა შვილმა ისწავლოს ჯდომა, დგომა, სიარული ლაპარაკი, ყველაზე ადრე მის შვილს გაუღიმოს მზის სხივებმა და გაანათოს კაშკაშა მთვარემ. მაგრამ მეორე დედას, რომელსაც ჩვენ ბუნებას ვეძახით, აჩქარება არ უყვარს, იგი მისდევს თანდათანობის კანონს, მას ნახტომი არ ეშლება. თორემ თქვენ თითონ მიჰხვდებით ყველა ამას, თუ მიიხედ-მოიხედავთ და ცოტაოდნათ დაკვირვების უნარს გამოიჩინეთ. განა პაწაწინა ჩიტის ბარტყს ბუნება ნებას მისცემს ბუდიდამ დაიძრას, ვინემ იგი არ შეიმოსება ბუმბულით და ფრთები არ გაუმავრდება? ასეთია ბუნება ემიკოს შესახებაც: მას მისცა ბუნებამ ინსტიქტი (აღლო) და ამ ნიქის შემწეობით თვით ბავშვი ემზადება ხოლმე ცხოვრების ყოველ მოქმედებისთვის, იქნება გაგიკვირდეთ, გაიოცოთ კიდევ ეს უკანასკნელი გარემოება, მაგრამ ეს ასეა,

თქვენი ემიკო, თქვენ თითონ თუ არ გადაეღობე-
ბით მის მასწრაფებას, თითონვე მოემზადება „ფეხის
აღმისთვის“. რადგანაც იგი ზრდაში მიდის, იმდე-
ნად გრძნობს იგი მოთხვნილებას მოქრაობისა.
არ ვიცი. შეგინიშნავთ თუ არა, როცა თქვენი
ემიკო განსვენებაშია, რა როგად ამოძრავებს იგი
სხეულს: ხან გადმობრუნდება, იქნევს ფეხებს, ამო-
ძრავებს თავსა. ამ ერთივე შეხედვით უაზრო და
უმნიშვნელო მოძრაობას დიდი აზრი აქვს, ბატონო
ჩემო, ინსტიქტურად ემზადება სამოქმედოთ; და ეს
უნარი მოქმედებისა და მოძრაობისა რომ წაეა-
რთოთ ბავშვს—ეს იგივე იქნება, რომელსამე
მანქანას მოძრაობის მეხანიზმი დავუყენოთ და
გავვიკვირდეს—რატომ არ მოძრაობსო. თქვე-
ნი ემიკო იგივე მანქანაა და მისი მეხანიზმი მისი
ორგანოებია. ნუ ინებებთ და ნუ შეჰბოჭავთ მას
ჩვენებურ არტახნებით, ნუ უკრავთ ფეხებს, ხელებს,
მიეცით მას თავისუფლება ამოძრაოს თავისი ფუნ-
ტუმა ფეხები და თავისი უცოდველი ხელები—გარ-
წმუნებთ, ბატონო ჩემო, ემ ყოფაში ჩავარდნილი
ბავშვი ყველაზე უბედური არსებაა და თავის უბე-
დურებას მხოლოდ ტირილითა და ვიშით გამოხა-
ტავს ხოლმე.

რომ ბავშვმა ნელ-ნელა განვითაროს ფიზი-
კური ძალაო, სამართლიანად ამბობს დიტესი*),

*) იხილე პედაგოგია—დოქტორ დიტესი.

აჭიროა მისს სხეულს მიეცეს სრული თავისუფლება მოძრაობისა. ცხოვრების პირველ დღიდანვე კი ივენ ებოჭავთ ბავშვს მჩვრებში, ვალრჩობთ აკვანში, ან არა და ვფუფნით საბანში, თუმცა ამ უკანასკნელს მხოლოდ ის დანიშნულება უნდა ჰქონდეს, რომ ბავში არ გაცოვდეს, საკუთარი სითბო შეინახოს და არა ის, რომ თავი, ფეხები, ხელები თავისუფლებას იყოს მოკლებული. დიახ, ბავშვს თავისუფლად უნდა ჰქონდეს ეს მანქანა, რომ იგი გაძლიერდეს, განვითარდეს, რომ მან შესძლოს ამ მანქანით სარგებლობა ე. ი. ისწავლოს ბავშვმა ჯდომა, დგომა და სიარული. დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, როდესაც ჩქარობენ ამ საქმეში. თუ ბავშვს ძალა არ შესწევს თავი შეიმაგროს და დაჯდეს, მაშინ ხომ ბავში იგი ვერც ფეხზე დგომას და ვერც სიარულს მოახერხებს. და თუ ვინმე შეეცდება ამ დროს ამ საქმისთვის, იგი მხოლოდ დააზიანებს ბავშვს ხერხემალის გაბრუნდებით და ორგანოების დასუსტებითა და, რაც უფრო ძნელია, აჩვევენ მას შიშსა და გაუბედობას. თქვენ ბედნიერთა უნდა ჩასთვალოთ თქვენი თავი, თუ ბავში 5-6 თვისა ისწავლის ჯდომას, წლის ბოლოს კი ისწავლის დგომას და ფეხსაც აიდგამს*)

*) ჩემმა ბავშვმა ხუთი თვისამ ისწავლა ჯდომა; 10 თვისა ფეხზე დგებოდა და მე-12-ე თვეში იდგა, როდესაც ნელ-ნელა ფეხიც აიდგა. ჩემი ბავშვის ამ გვარ გამარჯვებულს უთარო იმითი იხსნი, რომ თავისუფლად ამოძრაობდა სხე

ამ შემთხვევაში რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ვეხმარებოდეთ ბავშვს, მაშინ იგი თავიდანვე მიეჩვევს სიფრთხილეს, თვით-მცველობას და მეტადრე თვით მოქმედებას. ყველა ხელოვნური საშუალება კი ჰავნებლობის მეტს არას მოუტანს. შევიცარელმ: ექიმმა ღემმა სწორედ ამ მხრივ გაშინჯა 150 ბავშვი და დარწმუნდა, რომ ცხრა ან ათის თვისას მხოლოდ ძალიან ღონიერ ბავშვს შეუძლიან ფეხზე დადგომა, საშუალო ძალ-ღონის ბავშვი უფრო კვიან აღწევს ამას; ნაზი და სუსტი ბავშვი კი უფრო გვიან 12 თვეზე. 150 ბავშვში მხოლოდ ორმა ცხრა თვისამ დაიწყო სიარული, დანარჩენებმა კი 18 თვიდან.

კომპერეს *) აზრითაც ახალ-დაბადებული ბავშვი ერთბაშად ვერ გაიმართება ტანში, ამისთვის ხანი უნდა და ვარჯიშობანი და იგი კიდევ ვარჯიშობს დედის მუხლებზედ, ეთამაშება ძუძუს, ამოძრავებს თავს, ხელებს და ფეხებსაც ადგამს ვისიმე შემწეობით მიწაზე, ან მიენდობა ხოლმე სკამს და ისე ცდილობს ფეხზედ დგომას. შემდეგ კი, როცა დარწმუნდება, რომ დაუხმარებლად შეუძლიან დგომა, ამასაც გაბედავს ხოლმე. „ჩემმა ასკელმა სამის თვისამ

ულს, წმიდა ჰაერს და მეტადრე ჰიგიენურ პირობებსაც ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. ალ. ნათაძე.

*) იხილეთ ბუნებითი და ზნეობითი აღზრდა ბავშვისა— კომპერე.

ჯანიძრახა ფეხზედ დადგომა და დადგა კიდევ ერთის
ქუთით“ *). 16 თვის ბავშვს კი თავისუფლად შეუძ-
ლიან ფეხზე დგომაც და ფეხებით დაბრაგუნებაცაო“.
ერთი სიტყვით, ბატონო ჩემო, ემიკოს ჯერ ფეხი
არ აუდგამს, დაანებეთ თავი, დეე, თითონ ავარჯი-
შოს სხეული, თქვენ მის მოძრაობას ხელს ნუ
შეუშლით. როცა ძალა მიეცემა, თითონვე წა-
პოდგება და ცოტა ხანს მერე სიარულსაც დაი-
წყებს, რასაკვირველია, ჯერ სხვის შემწეობით.
ამ საქმეში თქვენ ნუ აჩქარდებით, აცალეთ ბუნე-
ბას, ის თითონ ასწავლის ბავშვს სიარულს, აჩქა-
რებით, კი საქმეს გააფუჭებთ: აქ საჭიროა ხელის
შეწყობა და არა ძალადობა.

მაგრამ ეს კი იცოდეთ, რომ ეს დრო უძნელესი
დრო იქნება თქვენი ბავშვის აღზრდისა. სწორედ ახლა
დაუდგება ჟამი განსაცდელისა თქვენს ემიკოს. როცა
არ დადიოდა, სადაც უნდა დაგეგდოთ, არაფრის ში-
ში არა ჰქონდა, ეხლა-კი სულ სხვა იქნება და ყველა
დედა ყოველგვარ ხიფათს უნდა მოელოდეს. დიახ,
დიდი სიფრთხილვე უნდა ეხლა თქვენ შვილს, სწერს
ახალგაზდა დედას პედაგოგი ბემე **), ბევრგვარ ხი-
ფათს უნდა მოელოდეთ და ჩვენი ვალია კარგად
გავარკვიოთ ყველა ის საშუალება, რომლითაც

*) იხილეთ სული ბავშვისა—თხ. პრეირისა.

***) იხილეთ აღზრდა შვილისა—ბემესი, ჩემ მიერ ქარ-
თულად ნათარგმნი.

უნდა ავაშოროთ მას თავიდან ეს ყველაფერი ხიფათი. წვრილმან ხიფათებიდან თავის დღეში ვერ დაიკავთ თქვენ ბავშვს, მაშინ ის უნდა დაამწყვდიოთ ოთახში, რბილი ბალიშებით უნდა იყოს დაფენილი, რათა რომ წაიქცეს, რბილად დაეცეს და არა იტკინოს-რა; მაგრამ ეს ღონისძიება უფრო მავნებელია ვიდრე სასარგებლო. ბავშვი ისეთ პირობებში უნდა იყოს, რომ პირველათვე ყველაფერი გამოსცადოს ყველაფერი გაიცნოს; ამით განვითარდება ბავშვში ეს მშვენიერი თვისება, რომელსაც ჩვენ თვით-გამოცდილებას ვეძახით. ამისთვის თითონ თქვენ უნდა შეამთხვიოთ ხოლმე ბავშვი განგებ სხვა-და-სხვა ხიფათებს, რომლებიც, რასაკვირველია, მავნებელი არ იქნება მისთვის. ამით შეაჩვევთ მას თვით-მცველობას უკუღმართ შემთხვევისაგან. ავხსნათ ჩვენი აზრი უფრო ნათლად: წარმოვიდგინოთ, როგორ თქვენი ბავშვი მარტოკა დარჩა ოთახში. ამ შემთხვევაში მას მალე ნუ მივეშველებით, იყოს მარტოკა ოთახში, ამით თქვენ მიაჩვევთ მას ცხოვრებას უხალხოდაც, რომელიც, სხვათა შორის, საჭირო იქნება მისთვის მომავალში. თუ ოთახში ისეთი რამ არის, რომლიდანაც ბავშვს შეიძლება დიდი ხიფათი შეემთხვას, მაგ., წუმწუმა, ანთებული ბუხარი, ადუღებული სამოვარი, მაშინ ეს ღონისძიება უნდა ვიხმაროთ: სანამ შევაჩვევდეთ ბავშვს თუ რა უბედურობა შეიძლება შეამთხვიოს ამ საგნებმა, ის საღებო უნდა მოაშოროთ მას. ბოხრის

ქინ ისეთი რამ დასდეთ, რომ ბავშვი ბუხართან კელარ მივიდეს. მერე კი ნელ-ნელა შეაჩვიეთ ბავშვი იმას თუ რა ხიფათი შეიძლება წარმოსდგეს ამ ააგნებიდან.

ბავშვებს ძალიან უყვართ მოგროვება სხვა-და-სხვა ნივთებისა, რომელნიც კი მის ყურადღებას მიიქცევენ რითიმე; მაგ. აგროვებენ ნემსებს, ქინძისთავეებს, შუშის ნატეხებს, დანის პირებს და სხვა. აქაც საჭიროა მშობელი ფთხილად იყოს, რომ ამ ნივთებიდამ რამე უბედურება არ დაატყდეს თავზე“.

პაწაწინა ბავშვის ძვლები და ძარღვები ჯერე ღუნეა, სუსტი და ეს არის მიზეზი, რომ იგი ხშირად, ძალიან ხშირად წაიქცევა ხოლმე; მაგრამ წაქცევაც არის და წაქცევაც—ხან-და-ხან ისე ძალიან დაჰკრავს ხოლმე თავის ქალას იატაკზე და ან რომელსამე მაგარ საგანზე, რომ ხშირად ტვინის შერყევით გათავებულა ეს შემთხვევა; თუ თავზე არ დაეცა, შეიძლება ხერხემალი დაზიანდეს, ან, რაც ადვილი წარმოსადგენია, კუზიანი გახდეს ბავშვი. უეჭველად უნდა ეცადნეთ, რომ შხამად არ გადააქციოთ ის სიხარული და ნეტარება, რომელიც მოგანიჭათ თქვენ ბავშვმა თავისი ფეხის ადგმით. იმედი მაქვს, ამ სიტყვებიდამ თქვენ იმ დასკვნას არ გამოიყვანთ, რომ ბავშვს სრულიად აუკრძალოთ ცელქობა-თამაშობა, სირბილი. ეს აკრძალვა წამებაა, სიკვდილი იქნება თქვენი ბავშვის-თვის. კი ეცადენით, ბავშვი მოძრაობის დროს ისეთ

პირობებში ჩააყენოთ, რომ მას ყოველი მოსალოდნელი ხიფათი ააცდინოთ თავიდან.

ერთ ქართველ დედათაგანს.

P. S. ეს წერილი მზად იყო, როდესაც „ცნობის ფურცლის“ რედაქციას მოუვიდა ერთი ქართველი დედის წერილი, სადაც პატივცემული დედა მეკითხება მე: „შეიძლება თუ არა ბავშვის ძუძუს გაშვებინების დროს, ძუძუზე წავისოთ რამე: ქინა-ქინა, დარიშხანა და სხვა“. „არ ვიცი, პატივცემულმა დედამ წაიკითხა თუ არა ჩემი მერვე პედაგოგიური წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ არაფერი მაგგვარი საშუალება არ უნდა იხმაროს დედამ, ნების წასმა რა არის—ამასაც-კი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ-მეთქი. დარიშხანა და სხვა ამ გვარი საშუალება ხომ სულ ერთიან განდევნილი უნდა იყოს, რადგანაც ამ საშუალებით შეიძლება ბავშვს სიცოცხლე მოუსპოთ. მე ვთხოვ ამ ქართველ დედათაგანს გულმოდგინეთ წაიკითხოს აღნიშნული ჩემი მერვე წერილი, საიდანაც ამის გარდა სხვა რამესაც ამოიკითხავს. თავის შვილის საყურადღებოთ.

აფ. ნათაძე,

წერილი მათე.

ბოდისით უნდა დავიწყო ეს წერილი, ბატონო ჩემო, ბოდისით, რადგან აქამდის წერილი არ მომიწერია თქვენთვის და არ გამიგია, თუ რა მდგომარეობაშია თქვენის ემიკოს განვითარება. მიზეზი ამ ჩემი სიჩუმისა ბევრი რამ იყო და უმთავრესათ კი ჩვენი ხალხის ახლანდელი მოძრაობა, მოძრაობა სინათლისაკენ, მოძრაობა დასაბრუნვათ მონობისა. გამიყოლია მეც ამ ცხოვრების ტალღამ, სხვა ყველაფერი დამავიწყებინა და მთელი ჩემი არსებით ჩამიზიდა ამ არა ჩვეულებრივ საზოგადო გაღვიძებაში. ხალხი ღრტვის, ხალხი ბობოქრობს და ცხოვრების იალქანი მიგვაქანებს სადღაც შორს, მეც მივცემივარ ამ სანეტარო მისწრაფებას და დღესაც ვერაფერ გამომარკვევდა, რომ თქვენ გრძნობით სავსე წერილს არ გამოვეყვანე ამ „ოცნების სამთავროდან“: „ჩემმა ემიკომ ენა ამოიდგაო, მწერთ თქვენა და მოდი და ეს მოვლენა თქვენის ბავშვის ცხოვრებაში ნუ გამოგიყვანს საგონებლიდან, ნუ აგაღებინებს კალამს და ორიოდე სიტყვას ნუ მისწერავ იმისთანა სასიქადულო დედას, როგორც თქვენა ბრძანდებით, მოწყალეო ხელმწიფევ.

ღიახ, ემიკოს ენა ამოუდგამს: მესმის, ბატონო, მესმის თქვენი ალტაცება, თქვენი ბედნიერება ან გარემოების გამო. რა ამბავი იქნება ახლა თქვენს

აჯახში: რამდენს სხვა და სხვაობას შემოიტანდა ეს თითის მტკაველა ბიჭი თქვენს მოწყენილ, ერთ-
ვარ ცხოვრებაში?! რამდენს სიხარულის სხივებს
სოჭფენდა იგი თქვენს ცხოვრების კაეშნით შემო-
რტყმულ გულს, ჯაფისაგან დაღალულსა და ცხოვ-
რებით აძღვრეულ პაწაწინა ემიკოს მამის გულსაც?!
ღიახ, სიხარულია და ნათელი ემიკოს მოტიკტიკე
ქნა და მეც სულითა და გულით გილოცავ ამ შე-
სანიშნავ ნაბიჯს თქვენი ბიჭის ცხოვრებაში. მხო-
ლოთ ერთში არ გეთანხმებით, როდესაც ამბობთ,
რომ „ჩემმა ემიკომ უეცრივ ამოიღვა ენაო. არ
კეთანხმებით და გისაყვედურებთ კიდევ, რომ
თქვენის ყურადღების უნარი, უნარი თქვენის დაკვი-
რების ნიჭისა არ მოგიხმარებიათ გამოსაძიებლად
იმ შესანიშნავ მოვლენისა. განა თქვენი ბავშვი
კვნიდანვე დაწყებული რომ ჭყიოდა, გაჭყიოდა,
ლულლულულებდა, მღეროდა კიდევ თავისებურად,
კაჯავრებდათ კიდევ ნანინას სიმღერაში, ეს მომ-
ხადება არ იყო ამ შესანიშნავ აქტისათვის? განა
იგი ამ გვარის ვარჯიშობით არ უახლოვდება იმ
შესანიშნავს ნიქს ადამიანისას? მაგრამ დავანებოთ
მასაც თავი და მივაქციოთ თქვენს სხვა საკითხს
ქურადლება. თქვენა მკითხავთ, თუ ბავშვი რანაირა-
ია სწავლობს ლაპარაკს და რა ღონე ვიღონო,
რომ როგორც თქვენ გინდათ, ისე ავაჭიკტიკო სამ-
ქობლო ენაზედაო. პირველი კითხვა, ძალიან რთუ-
ლი კითხვაა. ბატონო ჩემო: ამ კითხვის შესახებ

მთელი ლიტერატურა არსებობს; მთელი ტომი შეიძლება დაწერილაყო, მაგრამ მე აქ მხოლოდ მოკლედ განგიმარტავ ყველა ამას და დავძენ კიდევ, რომ ახლანდელი ნაბიჯი თქვენი ემიკოსი შესანიშნავი ნაბიჯია მის ნეტარ ცხოვრებაში! დავძენ იმასაც, რომ სიტყვის ნიჭი არის უმთავრესი ნიჭი ადამიანის; იგი არის იარაღი მისი სულიერი განვითარებისთვის, აძლევს უპირატესობას ცხოველებზე და ბატონათა ხდის ბუნებაში. სიტყვიერებითი აღზრდა შეადგენს ადამიანის განვითარების მკვიდრ საფუძველს, იგი სწარმოებს ადვილად და სისწრაფით. მართლაც მოიგონეთ, რამდენს სიძნელეს ვიტანთ ხოლმე იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობილ ენას უმატებთ ხოლმე სხვა უცხო ენის შესწავლას. თუმცა კი ამის შესათვისებლად მზათა გვაქვს ორგანოებიცა და ნიჭიც მოგვდებს. ბავშვმა კი რამდენი მხნეობა უნდა გამოიჩინოს, რომ თავი დააღწიოს დაბადების პირველ დღეების სიმუნჯესა და შეითვისოს ცოტათ თუ ბევრად საშობლო ენა, რამდენი საფეხური უნდა აირბინოს ამ ნაბიჯის განვითარებისათვის! ამ ვარჯიშობისათვის ერთი ერთმანეთზე გაკვანძულია ფიზიკური და გონებრივი ორგანოები. ერთი მხრივ საჭიროა ბგერის შესადგენად ფიზიოლოგიური მექანიზმი, მეორე მხრივ დაიარაღებული ნება და გონება. რომ უფრო გასაგები იყვეს თქვენთვის ამ შესანიშნავ მოვლენის შინაარსი ენის განვითარებისა, უნდა აღვნიშნოთ

ამი ხანა: ჯერ ბავშვი ამბობს ბერას, მერე მარცხლებს და სიტყვებს, მერე, როდესაც აზრი ცხოველდება და მსჯელობას უნარი ეძლევა, ბავშვი ამოსთქვამს მოკლე წინადადებასაც; შემდეგ კი როდესაც ბავშვს გონებითი განვითარება ხელს შეუწყობს თავის აზრს დალაგებითაც გამოხატავს ამ დაწყნარებულ ტრაქტიკში, რაიც ბავშვს უყვარს 3—4 წლამდის. ეს ლაპარაკი სრულიათ თანასწორია მის გონებრივ განვითარებასთან. იგი მოკლეა, არეულ-დარეული, რადგან იმის სჯისა და აზრს შორის არ არის პირდაპირი დამოკიდებულება. ასე ამ რიგად ლაპარაკი არის პირდაპირი შედეგობისი გონებით განვითარებისა და შეადგენს უსაჭიროეს მოთხოვნილებას გამოთქმისას, ამისთვისაც მისცდა, რომ ბავშვმა დალაგებით ილაპარაკოს, ლოლიკურად, მაშინ როდესაც იმის გონებაში ჯერ ლოლიკა არ არის, არამც თუ უსარგებლო, არამედ მავნებელიცაა, მავნებელია იმისთვის, რომ ბავშვმა შეიძლება შეითვისოს მხოლოდ ცარიელი სიტყვები, ე. ი. ხმის შთაბეჭდილებანი და ამგვარი შეთვისება შეიძლება ჩვეულებად გადაიქცეს. არც ეს შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ, რომ ბავშვი აიცოცხლის პირველ ხანაში, ვიდრე იგი ლაპარაკს დასწავლიდეს, ხელის მოძრაობით და ხმიანობით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ჩვენთან; იგი ყველა თავის მოთხოვნილებას ატყობინებს უსიტყვოდ. მაგრამ ისეთის სინამდვილით. რომ ავიი და-

იცვიფრებაში მოდის. აქ ეს არის საინტერესო, რომ ქველათფერი ძალა-დაუტანელად ხდება, ორწლამდის ხავში ბგერას სწორეთ ვერ გამოსთქვამს ხოლმე, ან ვერ ახერხებს ხოლმე, რომ გამოსთქვას. მაგრამ როდესაც ხმის ნერვების მოქმედება განმტკიცდება, როდესაც ხმის სიმები გავარჯიშდება, მაშინ კი ალლოიანი ყვირილი ბავშვისა გარდაიქცევა ადამიანის ხმად. საჭიროა, უხმო ასოები მიემატნენ ხმიანებს და გაურკვეველმა ბგერამ პირველ ხანებისამ მიიღოს ფორმა და შინაარსი; მაგრამ ლაპარაკის სწავლას გულისყურიც უნდა ჰქონდეს. ყრუმუნჯს, სიმართლით რომ სთქვას კაცმა, მხოლოდ ყრუ არის: ასე რომ ამათაც შეუძლიანთ გამოთქმა როგორც ბგერის, ისეც სიტყვებისაც. და თუ ისენი ვერა ლაპარაკობენ ბუნებრივად, როგორც ნორმალური ბავში, ეს იმასთვინ, რომ მათ არ ესმით, იგინი ყრუნი არიან; იმისთვის რომ კაცის ხმა და ბუნების ხმაურობანი არ ახდენენ შთაბეჭდილებას მის დახშულ გრძობაზედ ე. ი. სმენელობაზედ. ბავში პირველ ხანებში ყრუა. არ ესმის თავისი პირველი ჭყვილი. მაგრამ ეს მოვლენა რამდენიმე საათითა გრძელდება ხოლმე.

„პირველი საფეხური ბავშვის სიტყვიერად განვითარებისა, — ბრძანებს დიტტესი, — მდგომარეობს ცალკე ბგერისა და მით შეკავშირების შეთვისებისა და განვითარებაში; მეორე სიტყვების შეკავშირებაში, მესამე, წინადადებების გამოთქმაში.

მაშასადამე, განვითარება სიტყვიერი-კი არ უნდ
ასწრობდეს გონებით გახსნილობას, არამედ უნდ
მისდევდეს მას, რომ სულ ბოლოს განუყრელ თანა
მგზავრად დარჩეს იგი მასთან. ძუძუთა ბავშვი გამო
ხატავს თავის სულიერ ცხოვრებას სხვადასხვა მოდ
რაობით, მიხვრა-მოხვრით და ბგერის უსწორი
გამოხატვითა, მაგრამ, როდესაც მისი შეთვისებიც
გამოიჩვენებინ, მაშინ იგი ეძებს უფრო გარკვეულ
აზრის გამოხატვას და ჰპოულობს კიდევ გარემო
სიტყვებში. ხელოვნებით შემდგარი გეგმა აქ საჭი
რო არ არის და არც შესასრულებელია, საკმარისი
მხოლოდ შემთხვევითი გავლენა, თუ რომ სწორეთ
ცხადად გადაცემულ იქნება საგნების სახელები
მოქმედებისა, თვისებისა, გარემოებისა და დამოკიდე
ბულებისა, რომელსაც ბავშვი აღნიშნავს, მაშინ
იგი ძალიან ადრე შეითვისებს უსაჭიროებს სიტყვი
ერების ფორმებს და მით კავშირს დანიშნულ
საგნებთან. სმენელობა ადვილად იკავებს დიდ
რიცხვ-სიტყვებისას და ხშირ ვარჯიშობას ჩქარა მიყავს
ბავშვი გამარჯვებამდის. რომ სრულიად არ მიეჭყეს
ყურადღება ბავშვის სიტყვიერ განვითარებას და რ
ჩება უკან და თუ იგი უდროოთ აჩქარებული იქნე
ბა, მაშინ-კი უთავბოლო და უაზრო ყბედობა დაგ
ვრჩება ხელში, ან დაიბადება ყალბი კომბინაციები
წარმოდგენისა, ან როგორც ხშირად მოხდება ხოლ
მე, ორივე ნაკლულევიანება გაჩდება ერთად (ნახე
„Прак. пел. Литеса“).

ახლა უეჭველია ჩემი ბავშვის განვითარების ამბავიც გაინტერესებთ და გინდათ გაიგოთ რამე იმის შესახებაც. ეხლა ეს დიდი ვაჟკაცია, 2¹/₂ წლისა და თავისებურად ლაპარაკობს კიდევ, ბგერების შემდეგ ჩემმა ბიჭმა შეაერთა ორი მარცვალი ე. ი. დე-და და, რადგან ხშირად ვუმეორებდით ამ დალოცვილს სიტყვას, ჩაეთესლა მეხსიერებაში და ახლა ყოველ ქალს, ვისაც კი დედის მსგავსება აქვს, დედას უძახის; ვერეთვე მოხდა „მამის“ სახელიც. პირველად რომ ძალღი ნახა, ჩვენ პირდაპირ დავუხსახელეთ მისი სახელი, რაიც უეჭველად საჭიროა, მაგრამ ვერ დასძლია ეს სიტყვა: შემდეგში მისი ხმა გაიგონა და ამის შემდეგ კი „ამა“ უწოდა პატარა ბატონმა ამ ძალღს. კატას „შიაუ“, ცხენს „ჩუ“, ვირს „აცე“, რადგანაც ხშირად ესმოდა ხოლმე ამგვარი ხმები. ერთი გასაკვირალი და მეტის-მეტად საინტერესო ამბავი მოხდა: როდესაც ჩემს ბიჭს პირველად კაშკაშა მთვარე დავანახვე, გაუკვირდა, შეაცქერდა კარგათ, გაუშტერა თვალი და სახელათ „ბზი-ბზი“ დაარქვა: გასაკვირველია მეთქვი, რომ ვთქვი ეს იმისთვის ვთქვი, რომ ამისთანა სიტყვა არა დროს არ წარმოუთქვამს მას და მთვარის ნახვაც პირველი შემთხვევა იყო. აქამომდის ყველა ბჭყვრილა საგნებს: მთვარესა, ნზის სხივებს, ვერცხლის ფულოსა და სხვ: „ბზი-ბზის“ ეძახდა, ერთია შესანიშნავი კიდევ ამ ლოჟლოჟთა ბიჭის ცხოვრებაში, როგორც საზო-

გაღოთ ყოველ ბავშვის ცხოვრებაშიაც: თუ რაიმეს თქმა უნდა და სიტყვებით ვერ გამოხატა თავისი გრძნობა, მაშინვე ხელებს მიმართავს ხოლმე. ესთქვათ, რომელიმე საგანმა მოახდინა მაზე შთაბეჭდილება, უექველათ დედასაც უნდა გაუზიაროს ეს შთაბეჭდილება. ჩასტიდებს კაბაში ხელს და მიიყვანს იმ საგანთან, რომელიც მას აინტერესებს, დედამაც უნდა ისარგებლოს ამ შემთხვევით და დაუსახელოს ეს საგანი, მაშინ უნდა ნახოთ ბავშვის სიხარული, მისი სიცილი, ხარხარი! კარგი რამა-რის მაშინ ეს ბიჭი, ეს მზე და მთვარე, ეს მოცი-მციმე ვარსკვლავი ქვეყნიერობისა! უხარიათ ბიჭს, მან ახალი საგანი ნახა, მისი სახელიც გაიგო, ამას უნდა ყველას შეატყობინოს ეს ამბავი, მისი თვალები შესცქერიათ ყველას, ყველგან თანაგრძნობას ეძებს და ამ თანაგრძნობას პოულობს კიდევ თავის საყვარელი დედის მკერდში! პირველათ რომ ბუზი ნახა-დაჭერა მოინდომა, მაგრამ ვერ გაბედა, ბუზისაგან შეშინებული გამოიქცა და გამიზიარა ეს თავისი მწუხარება, წამიყვანა ამ „ბაყ-ბაყ-დევთან“. როდესაც იგი დავიჭირე და სახელიც კი დავარქვი, დაიწყო ყვირილი: დედა! მამა ბუზი ე. ი. მამამ ბუზი დაიჭირაო და სხვა და სხვა. ერთს ამასა გთხოვთ ყოველივე სიტყვა სინამდვილით დაუსახელოთ ხოლმე, ყოველივე ბგერა ნამდვილათ გამოათქმინეთ ხოლმე. თუ თვითონ რომელიმე საგანს დაარქვა რაიმე სახელი, ეს არაფერია, მაგრამ

რუ თქვენ უსახელებთ საგანს, მაშინ კი უეჭველათ აინამდვილათ დაუსახელებთ ხოლმე.

ორი წლისა არ იქნებოდა ჩემი ბიჭი, როდესაც მე სამ-ფერის დასახელება ვასწავლე და ახლა კარჩევის დროს შეცდომაში არ შედის ხოლმე. აი როგორ მოვახერხე ეს: ვუყიდე სამი ბურთი: თეთრი, წითელი და შავი. ჯერ ვაჩვენე თეთრი და დაუსახელებ „ბურთი“, ეს სიტყვა რომ დაიხსოვა, მერე ვუთხარი „თეთრი“ ბურთი. ვაჩვენე რამდენიმე თეთრი საგანი და ასე ამგვარათ შევაჩვიე თეთრი ფერის გამოცნობას, ასევე მოვიქეცი სხვა ფერის შესახებაც და ახლა არც ერთი შემთხვევა არ არის, რომ მან არ გაარჩიოს ერთი ფერი მეორესაგან. აქ თქვენთვის მგონი, საინტერესოა იქნება ჩემი ბიჭი 20 თვისა, რომ შესრულდა, მაშინდელი ლექსიკონი წარმოგიდგინოთ. ეს საჭიროა ძალიან უფრო დაახლოვებით შევისწავლით ბავშვის სწავლებას, მის თან-და-თანობით განვითარებას, აქავე ამასაც ვთხოვთ, ნუ დაიზარებენ ჩვენი ქართველი დედები, გამიზარდნ თავიანთი შვილებს ლექსიკონით და — თვისი დედის მგზავსი არსება: მამა — თვისი მამის მგზავსი არსება, პაპა — მოხუცებული კაცი, ბაბა — მოხუცებული დედა-კაცი, ამა — ძილი, იუ — ცხენი, მიაუ — კატა, ბზი — ბრკეჩხალა საგანი, ფული, ნანა — ძილი, ძია — ექიმი, მპა-მპა — მშვიან, ატუა — სეირნობა, ბაბა — პური, ნუნუ — დვინო, წამალი.

აპყა—არ მოსაწონი, სველი ადგილი, ოტო
—რისიმე გამყიდველი და კიდევ სხ. ამ დროს სიტ-
უების შეერთებაშიაც ვარჯიშობდა ხოლმე ეს ვაჟ-
იცი. მამა ტუ—მამა შინ არ არის: ბაბო ნუნუ—ბე-
იას ღვინო აქვს და სხ.

და რაც შეეხება, მოწყალეო ხელმწიფევე,
იმას, თუ რა ენაზე ამოადგმინო თქვენს ემიკოს, მე
მაზე წინათაც მქონდა ლაპარაკი და კარგათ გიც-
ნობთ კიდევ, რომ თქვენ არ ეკუთნით იმ დედის
ჩაზმს, რომელიც სამშობლო ენას არაფერს მნიშ-
ვნელობას არ აძლევს და თავიანთ შვილებს უცხო
ენაზე აჭიკჭიკებენ ხოლმე. ამით უკულმართობას
ამ ბოლო ხანს საღვეელი აკლდება, ბატონო ჩე-
ხო! ახლა დრო გვიდგება, სამშობლო ენის სხივე-
ბი უფრო და უფრო აცხუნებენ ქართველი კაცის
კულს. და თქვენც არა ერთხელ მოგიხდებათ წა-
რუდგეთ იმ გადაგვარების გზაზე დამდგარ ქარ-
თველ დედ-მამას და თამამათ უთხრათ: „მე დამ-
კინოდით, ახლა თქვენა ხართ დასაციინაფი, თქვენა
ქდევნიდით, ახლა თქვენა ხართ დევნილი, თქვენი-
ვე ხელით დარგული ეკალი, ეხლა თქვენვე უნდა
კლიჯოთ, თქვენგანვე თელილი ღვარძლიანი გზა
თქვენვე უნდა შეიმოკლოთ, მე კი სწორეთ მივ-
ლია და ამ სწორს გზით სიხარულით კიდევ ვამა-
ყობო“. ესენი მალე მიჰხვდებიან თავის შეცდო-
მას, დაგმობენ წარსულს თავის ცხოვრებისას და
სამართლიანი შუქი სამშობლო ენისა შეინდობს და
შეიწყნარებს ამათ შეცოდებას და გულწრფელ
აღსარებას.

Handwritten signature or mark